პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

კვირა, 15 სექტემბერი, 1946 წ. № 186 (7709). ფასი 20 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ ღ ე ს გ ა ზ ე თ შ ი:

ბოლშევიკურად განვახორციელოთ საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებანი—მოწინავე (1-ლი გვერდი).
ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა არმიის გენერალ ამხ. ა. ი. ანტონოვის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ (1-ლი გვერდი).
საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმი (მე-2 და მე-3 გვერდი).
ვ. გრიშანინი—საერთაშორისო მიმოხილვა (მე-3 გვერდი).
დოცენტი მ. კვესელავა—ფედერიკო გარსია ლორკა (მე-3 გვერდი).
პარიზის საზავო კონფერენციაზე (მე-4 გვერდი).
უცხოეთის ამბები—დეპეშები (მე-4 გვერდი).

ბოლშევიკურად განვახორციელოთ საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებანი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მორიგმა პლენუმმა, რომელიც 10-12 სექტემბერს მიმდინარეობდა, განიხილა ორი უმნიშვნელოვანესი საკითხი: 1. კოლმეურნეობებისადმი ხელმძღვანელობის გაუმჯობესების შესახებ და 2. საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ზრდისა და საკავშირო კ. პ. (ბ) რიგებში ახლად მიღებულებთან პარტიულ-ორგანიზაციული და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.

კოლმეურნეობებისადმი ხელმძღვანელობის გაუმჯობესების საკითხზე მოხსენება გააკეთა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხანაგმა კ. ნ. ჩარკვიანმა. ამხანაგ ჩარკვიანის მოხსენება და პლენუმის მიერ მისი მოხსენების გამო მიღებული გადაწყვეტილება საფუძვლად უნდა დაედოს პარტიული ორგანიზაციების მთელს შემდგომ მუშაობას კოლმეურნეობებისადმი ხელმძღვანელობის დარგში.

სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის სტალინური მოძღვრების განხორციელების საფუძველზე, იმ მითითებათა შესრულების საფუძველზე, რომელნიც ამ 10 წლის წინათ, 1936 წლის აგვისტოში საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე ამხანაგმა ლ. პ. ბერიამ მოგვცა, ჩვენი რესპუბლიკის კოლმეურნეობები გაიზარდნენ და განმტკიცდნენ პოლიტიკურად, ორგანიზაციულად და მეურნეობრივად. საკოლმეურნეო წყობილებამ შესაძლებლობა მოგვცა მთლიანად შეგვეცვალა საქართველოს სოფლის მეურნეობის სახე. ფართოდ დაინერგა ძვირფასი ტექნიკური კულტურები—ჩაი, ციტრუსები, ტუნგო, შაქრის ჭარხალი, თამბაქო, განვითარდა მევენახეობა-მეღვინეობა და სხვ. გაიზარდა კოლმეურნეობათა შემოსავალი და ამაღლდა კოლმეურნეთა მატერიალურ-კულტურული ცხოვრების დონე.

დიდი სამამულო ომის პერიოდში მთლიანად დადასტურდა ჩვენი სოციალისტური სოფლის მეურნეობის ძალა და სიცოცხლისუნარიანობა. მართალია, ომით გამოწვეულ სიძნელეთა გამო ტექნიკური კულტურების შემდგომი განვითარება შეუძლებელი გახდა, მაგრამ ძირითადი ამოცანა—მრავალწლიანი ნარგავების არსებული პლანტაციების მოვლა, სოფლის მეურნეობის ომამდელი დონის შენარჩუნება—წარმატებით შესრულდა. ეჭვს გარეშეა, რომ მხოლოდ საკოლმეურნეო წყობილებამ შეგვაძლებინა ამ ამოცანის განხორციელება.

სამამულო ომიდან ჩვენი კოლმეურნეობები კიდევ უფრო განმტკიცებული და გაძლიერებული გამოვიდნენ. სიძნელეთა მიუხედავად, ნათესი ფართობი და პირუტყვის სულადობა კოლმეურნეობებში მნიშვნელოვნად გაიზარდა. ჩაისა და ვენახის ფართობი მთლიანად იქნა შენარჩუნებული. მხოლოდ ციტრუსოვანთა პლანტაციების ფართობი შემცირდა 1942 წლის ძლიერი ყინვების გამო 2.300 ჰექტარით. ძირითად საწარმოო საშუალებათა ღირებულება კოლმეურნეობებში 1940 წელთან შედარებით 90 პროცენტით გაიზარდა 1945 წელს. გადიდდა კოლმეურნეობათა ფულადი და ნატურალური შემოსავალი, ამასთან ერთად შრომადღის ღირებულებაც. ომის მთელ მანძილზე ჩვენი კოლმეურნეობები პირნათლად ასრულებდნენ სახელმწიფო ვალდებულებებს, აწვდიდნენ ჩვენს წითელ არმიასა და მუშებს სურსათს, ხოლო მრეწველობას ნედლეულს.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა აღნიშნა, რომ ამ მიღწევებთან ერთად ჩვენ ჯერ კიდევ გვაქვს სერიოზული ნაკლოვანებანი კოლმეურნეობების მუშაობასა და კოლმეურნეობებისადმი ხელმძღვანელობის საქმეში.

რა მთავარი ნაკლოვანებები უშლიან ხელს კოლმეურნეობათა შემდგომ გაძლიერებასა და განმტკიცებას?

კოლმეურნეობათა შემდგომ განმტკიცებას ხელს უშლიან სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინური წესდების უხეში დარღვევანი.

უპირველეს ყოვლისა, უხეშად ირღვევა საკოლმეურნეო მიწათსარგებლობის წესები. თითქმის ყველა რაიონში ადგილი აქვს საკოლმეურნეო მიწების დატაცების შემთხვევებს. განსაკუთრებით ეს ითქმის ბორჩალოს, საგარეჯოს, გურჯაანის, ყარაიის, ახმეტის, ქარელის, გეგეჭკორის რაიონებზე. საკოლმეურნეო მიწების დატაცება ხდება კოლმეურნეთა საკარმიდამო ნაკვეთების უკანონო გაფართოების, საწარმო-დაწესებულებათა და მუშა-მოსამსახურეთა დამხმარე მეურნეობებისა და ინდივიდუალური მებოსტნეობისათვის ფართობების უკანონოდ გამოყოფის გზით. შედეგად კოლმეურნეობას ერთმევა არა მარტო თავისი საუკეთესო მიწებით სარგებლობის შესაძლებლობა, არამედ საზოგადოებრივ მეურნეობაში შრომითი რესურსების სათანადოდ გამოყენების შესაძლებლობაც, რადგან კოლმეურნე, რომლის საკარმიდამო ნაკვეთიც ნორმაზე მეტია, თავის მთავარ ენერგიას სწორედ პირად მეურნეობას ახმარს.

მეორე,—მრავალ ადგილას ირღვევა საკოლმეურნეო დემოკრატია. ადგილობრივი ხელმძღვანელი ამხანაგები უშვებენ ადმინისტრირებასა და თვითნებობას კოლმეურნეობების მიმართ. არის შემთხვევები, როცა რაიონის ხელმძღვანელი მუშაკები, სოფლის საბჭოს აღმასკომის და კოლმეურნეობის თავმჯდომარე ან გამგეობა ითვისებენ კოლმეურნეთა საერთო კრების ფუნქციებს, თვითნებურად ეპყრობიან საზოგადო, საკოლმეურნეო ქონებას. ისინი ამა თუ იმ ღონისძიების განხორციელებისას არ ჰკითხავენ საკოლმეურნეო ქონების ნამდვილ პატრონს — კოლმეურნეთა საერთო კრებას. ხშირად ირღვევა კოლმეურნეობის ხელმძღვანელი ორგანოების და უპირველეს ყოვლისა კოლმეურნეობის თავმჯდომარის არჩევითობის პრინციპი. ზოგჯერ საკოლმეურნეო კადრებს არასწორად არჩევენ, რაც იწვევს მათს დენადობას. ამას შედეგად მოსდევს კოლმეურნეთა აქტივობის, ინიციატივის, პასუხისმგებლობის შესუსტება საკოლმეურნეო საქმეებისათვის, კონტროლის შემცირება კოლმეურნეობის გამგეობისა და მისი თავმჯდომარის მუშაობისადმი, აქედან გამომდინარე მთელი უარყოფითი შედეგებით.

მესამე, — ხშირად ირღვევა შემოსავლის განაწილების ის წესი, რაც არტელის სტალინური წესდებით არის დადგენილი, გახშირდა საკოლმეურნეო პროდუქტების განიავებისა და ფულადი სახსრების გაფლანგვის შემთხვევები. ბევრ ადგილას, იმის მაგივრად, რომ მეცხოველეობის განვითარების სახელმწიფო გეგმა საკოლმეურნეო ჯოგის ნამატის გამოზრდის გზით შეასრულონ, შრომადღეებზე გასანაწილებელ მარცვლეულს იყენებენ პირუტყვის შესაძენად. გასანაწილებელ მარცვლეულზე იძენენ აგრეთვე სხვადასხვა ინვენტარსა და მასალებს. ეს განსაკუთრებით ითქმის ბორჩალოს, დუშეთის, ზნაურის, ახმეტის, ყვარლის, ზუგდიდის, ქარელის რაიონებზე. კოლმეურნეობებს დიდ ზიანს აყენებს ზოგი მუშაკის მიერ გარეშე პირებზე საკოლმეურნეო პროდუქტების წვრილწვრილად გაცემა ან უფასოდ ან დაბალ ფასებში.

მეოთხე,—ძლიერ გაბერილია კოლმეურნეობის ადმინისტრაციულ-სამმართველო ხარჯები ზოგიერთ რაიონში. მაგალითად, გეგეჭკორის, საგარეჯოს, სტალინირის, ახალციხის რაიონებში ეს ხარჯები კოლმეურნეობებში მთელი გამომუშავებული შრომადღეების 13-15 პროცენტს აღწევს. ზოგან (მაგალითად, გურჯაანის რაიონში) შრომადღეებს ურიცხავენ მათ, ვისაც არავითარი კავშირი არა აქვს საკოლმეურნეო შრომასთან. ამით უკანონოდ იხარჯება კოლმეურნეობის საზოგადოებრივი საშუალებანი, რასაც საქმისათვის დიდი ზიანი მოაქვს.

მეხუთე,—კოლმეურნეობა მსხვილი მეურნეობაა. ის ზუსტ გეგმიანობას მოითხოვს და მეურნეობის მაღალ მეცნიერულ დონეზე წარმოებას საჭიროებს. ამ მხრივაც ბევრია ნაკლოვანებანი. ყველგან არ ხორციელდება სამუშაოთა ზუსტად დაგეგმვის, შრომის ორგანიზაციის, აღრიცხვისა და ანგარიშიანობის ის წესი, რასაც მოითხოვს არტელის სტალინური წესდება. ჯერ კიდევ არ არის მიღწეული სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მაღალ აგროტექნიკურ დონეზე ჩატარება. განსაკუთრებით სუსტად ინერგება მოწინავე აგროტექნიკის მიღწევები მარცვლეულის მეურნეობის დარგში. განხორციელებული არ არის სწორი თესლბრუნვა. ამიტომ მარცვლეულის საშუალო მოსავლიანობა რესპუბლიკაში დაბალია.

ყველა ეს ნაკლი ხელს უშლის კოლმეურნეობათა შემდგომ გაძლიერებასა და განმტკიცებას.

ამ ნაკლოვანებათა მიზეზი ის არის, რომ ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციებმა შეასუსტეს ბრძოლა სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინური წესდების განუხრელად გატარებისათვის, დაივიწყეს, რომ თუ წესდება ირღვევა, ზედმეტია ლაპარაკი სოციალისტური სოფლის მეურნეობის შემდგომ აღმავლობაზე.

ამ ნაკლოვანებათა მიზეზი ის არის, რომ პარტიის საოლქო და რაიონული კომიტეტების მუშაობაში ადგილი აქვს სამეურნეო საკითხებით ცალმხრივ გატაცებას და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის შესუსტებას. პარტიული კომიტეტები ხშირად ცდილობენ მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის მთავარ საკითხებთან ერთად გადასწყვიტონ ყველა მიმდინარე სამეურნეო საკითხიც. ეს, ჯერ ერთი, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების გაუპიროვნებასა და მუშაკების არასწორ გამოყენებას იწვევს. მეორეც, პარტიული აპარატის მუშაკებს მხედველობიდან რჩებათ საკვანძო, ძირითადი საკითხები — არტელის სტალინური წესდების ზუსტად განხორციელების საკითხები.

ამ ნაკლოვანებათა მიზეზი ის არის, რომ საკოლმეურნეო პირველადი პარტიული ორგანიზაციები ბევრგან სუსტად მუშაობენ. ისინი არ ახორციელებენ კონტროლს კოლმეურნეობის გამგეობის საქმიანობისადმი. სუსტად არის დაყენებული პოლიტიკურ-მასობრივი მუშაობა კოლმეურნეთა შორის. აგიტატორებად ზოგჯერ ნაკლებ მომზადებულ ადამიანებს იყენებენ. სოფლის კომუნისტთა პოლიტიკური განათლების ამაღლებისათვის მუშაობა არადამაკმაყოფილებელია. პარტიის რაიონული კომიტეტები ბიუროს სხდომებზე იშვიათად ისმენენ ანგარიშს საკოლმეურნეო პარტორგანიზაციების მუშაობის შესახებ.

საქართველოს სოფლის მეურნეობის წინაშე ახალ სტალინურ ხუთწლედში დიდი ამოცანებია დასახული. ამ ამოცანათა განხორციელების უპირველესი პირობაა გადაჭრით გავაუმჯობესოთ ხელმძღვანელობა კოლმეურნეობებისადმი, მოვაწესრიგოთ საკოლმეურნეო მიწათსარგებლობა, აღმოვფხვრათ საკოლმეურნეო დემოკრატიის დამახინჯებანი და საკოლმეურნეო ქონების თვითნებურად გამოყენების შემთხვევები, გადამწყვეტი ბრძოლა გავაჩაღოთ საზოგადო ქონების გამფლანგველთა წინააღმდეგ, ყურადღება მივაქციოთ შრომითი რესურსების მთლიანად გამოყენებას, სწორად მოვაწყოთ შრომა, ბოლო მოვუღოთ გათანაბრებას, მოვაგვაროთ აღრიცხვა და ანგარიშიანობა, მეურნეობა წარვმართოთ ზუსტი გეგმის საფუძველზე, დავნერგოთ მაღალი აგროტექნიკა, ზუსტად განვახორციელოთ არტელის სტალინური წესდება.

ასეთია ზოგადად პლენუმის მიერ დასახული ამოცანები კოლმეურნეობებისადმი ხელმძღვანელობის გაუმჯობესების დარგში.

პლენუმმა მეორე საკითხზე — საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ზრდისა და საკავშირო კ. პ. (ბ) რიგებში ახლად მიღებულებთან პარტიულ-ორგანიზაციული და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ — მოისმინა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. მ. ი. ბარამიას მოხსენება. ეს მოხსენება და მის გამო პლენუმის მიერ მიღებული გადაწყვეტილება საფუძვლად უნდა დაედოს საქართველოს პარტიული ორგანიზაციების შემდგომ საქმიანობას პარტიის ზრდისა და ახალმიღებულთა აღსაზრდელად მუშაობის გაუმჯობესების დარგში.

დიდი სამამულო ომის პერიოდში საქართველოს პარტიული ორგანიზაცია მნიშვნელოვნად გაიზარდა. იგი ამჟამად თავის რიგებში ითვლის 140 ათასამდე კომუნისტს. 1941-1946 წლების მანძილზე პარტიაში მიღებულია 58.432 კაცი. პარტიის რიგები გაიზარდა ფრონტისა და ზურგის თავდადებული ადამიანებით, საბჭოთა პატრიოტებით—გმირი წითელი არმიის მეომრებით, მუშებით, კოლმეურნეებით, ინტელიგენციით. საქართველოს პარტიული ორგანიზაციების ზრდა განვლილი პერიოდის მანძილზე ყველაზე ძლიერი იყო მაშინ, როცა ჩვენი სამშობლო უდიდესი საფრთხის წინაშე იდგა, როცა გერმანელი ფაშისტი დამპყრობლები უახლოვდებოდნენ სტალინგრადსა და კავკასიას, როცა ვერაგი მტერი წალეკვით ემუქრებოდა ამიერკავკასიის აყვავებულ რესპუბლიკებს.

ეს ერთხელ კიდევ ადასტურებს ბოლშევიკური პარტიისა და ჩვენი ხალხის სისხლხორცეულ კავშირს, პარტიისა და მასების ინტერესებისა და მისწრაფებების სრულ ერთიანობას, მშრომელთა ურყევ ერთგულებას საბჭოთა სოციალისტური წყობილებისადმი.

ეს ერთხელ კიდევ ადასტურებს საქართველოს მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, ჩვენი ინტელიგენციის თავდადებასა და სიყვარულს ლენინ-სტალინის გმირული პარტიისადმი, ხალხთა ბრძენი ბელადის მშობლიური სტალინისადმი.

ამჟამად ჩვენი პარტიის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენენ ახალგაზრდა კომუნისტები, სამამულო ომის მანძილზე პარტიაში შემოსული ადამიანები. ამიტომ ახლა განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება პარტიულ-ორგანიზაციული და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გაძლიერებას ახალმიღებულებთან. ეს მუშაობა ისე უნდა წარიმართოს, რომ უზრუნველვყოთ თვითეული ახალგაზრდა კომუნისტის აქტიური მონაწილეობა პარტიულ და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა აღნიშნა, რომ როგორც პარტიის რიგების ზრდის, ისე ახლად მიღებულთა აღზრდის საქმეში ჩვენს პარტიულ ორგანიზაციებს ჯერ კიდევ აქვთ სერიოზული ნაკლოვანებანი.

პირველი სერიოზული ნაკლი ის არის, რომ სამრეწველო ქალაქებისა და რაიონების პარტიული ორგანიზაციები, რომელთა ზრდის მთავარი ბაზა საწარმოებისა და ტრანსპორტის მუშები და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებია, არ აწარმოებენ აქტიურ მუშაობას პარტიაში მისაღებად მოწინავე მუშათა და ინჟინერ-ტექნიკოსთა შერჩევისათვის. ისინი საკმაო ყურადღებას არ უთმობენ პარტიის ხარისხობრივი შემადგენლობის გაუმჯობესების საკითხებს. პარტიაში ახლად მიღებულთა შორის განსაკუთრებით ბევრია მოსამსახურე. ეს უმთავრესად ითქმის ქუთაისის, ბათუმის, თბილისის პარტიული ორგანიზაციების შესახებ. 1945 წლის იანვრიდან დღემდე ქიათურის საქალაქო პარტორგანიზაციის მიერ საკავშირო კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატად მიღებულია მხოლოდ 98 მუშა, 17 ინჟინერი, 55 მოსამსახურე.

მეორე ნაკლი ისაა, რომ სასოფლო პარტიული ორგანიზაციები, რომელთა ზრდის მთავარი ბაზა კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, მტს-ების მოწინავე ადამიანებია, ძალზე ნაკლებ ყურადღებას უთმობენ პარტიის ხარისხობრივი შემადგენლობის გაუმჯობესებას, პარტიის რიგებში მისაღებად აქტიურად არ არჩევენ სტახანოველ კოლმეურნეებს, ბრიგადირებს, ტრაქტორისტებს, კომბაინერებს, სპეციალისტებს. ეს განსაკუთრებით ითქმის გორის, ქობულეთის, წითელწყაროს პარტორგანიზაციათა შესახებ.

მესამე ნაკლი ის არის, რომ ამ ბოლო ხანებში საქართველოს კომკავშირულმა ორგანიზაციებმა შეასუსტეს მუშაობა პარტიის რიგებში მისაღებად კომკავშირელთა შერჩევისათვის.

მეოთხე ნაკლი ის არის, რომ ზოგ პარტორგანიზაციაში ადგილი აქვს საკავშირო კ. პ. (ბ) წესდების დარღვევის შემთხვევებს, ყოველთვის არ იცავენ პარტიაში მისაღებთა ინდივიდუალური შერჩევის ლენინურ-სტალინურ პრინციპს, პარტიაში მიღების საქმე ფაქტიურად თვითდინებაზეა დამყარებული.

სერიოზული ნაკლოვანებები გვაქვს პარტიაში ახალმიღებულთა აღზრდის დარგშიც. ამას მოწმობს თუნდაც საკანდიდატო სტაჟგადაცილებულთა დიდი რაოდენობა მრავალ პარტიულ ორგანიზაციაში.

ახალგაზრდა კომუნისტთა აღზრდის ბოლშევიკური სკოლაა პარტიული კრება. მაგრამ ბევრგან პარტიული კრებები არარეგულარულად იწვევა. ცალკეულ ორგანიზაციებში ადგილი აქვს პარტიული კრების ჩაშლის შემთხვევებს. არის კრებების მოუმზადებლად, ნაჩქარევად ჩატარების ფაქტებიც.

ახალგაზრდა კომუნისტთა აღზრდის მძლავრი საშუალებაა მათი ჩაბმა პარტიული ორგანიზაციის პრაქტიკულ საქმიანობაში — პარტიული დავალებების მიცემა, მათი შესრულების სისტემატური შემოწმება, კრების მომზადებაში აქტიური მონაწილეობის მიღება და სხვ.

კრიტიკისა და თვითკრიტიკის გაშლა ახალი შევსების ბოლშევიკურად აღზრდის სერიოზული ღონისძიებაა. როგორც ცნობილია, საკავშირო კ. პ. (ბ) წესდება საწარმოთა და კოლმეურნეობათა პირველად პარტორგანიზაციებს ადმინისტრაციისა და კოლმეურნეობის გამგეობის მუშაობისადმი კონტროლის უფლებას ანიჭებს. მაგრამ ამ უფლებას ნაკლებად იყენებს მრავალი პარტიული ორგანიზაცია. კონტროლი, ნაკლოვანებათა კრიტიკა სათანადოდ არ არის გაშლილი. აუცილებელია მივაღწიოთ მთელი საქმის გაუმჯობესებას ამ დარგში.

უდიდესი მნიშვნელობა ახალგაზრდა კომუნისტის გამოწრთობისათვის აქვს მარქსისტულ-ლენინური თეორიის შესწავლას. ამჟამად პარტიულ ორგანიზაციებს სუსტად აქვთ დაყენებული ახლად მიღებულთა იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლების საქმე. მათ სისტემატური დახმარება არ ეწევათ რევოლუციური თეორიის დაუფლებაში. მოუგვარებელია კონტროლი ახალგაზრდა კომუნისტების მიერ წიგნზე დამოუკიდებლად მუშაობისადმიც.

საქართველოს კ. პ. (ბ) საქალაქო და რაიონული კომიტეტები საკმაო დახმარებას არ უწევენ პირველად პარტიულ ორგანიზაციებს პარტიულ-ორგანიზაციული და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გაძლიერების საქმეში.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა დასახა ღონისძიებანი ყველა ამ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის, მთელი შინაპარტიული მუშაობის გადაჭრით გაუმჯობესებისათვის.

პლენუმის მიერ დასახულ ღონისძიებათა ბოლშევიკურად განხორციელებით საქართველოს ბოლშევიკები, ამხანაგ ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას მიერ ლენინ-სტალინის საქმისადმი უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით აღზრდილნი, ახალ წარმატებებს მოიპოვებენ მეოთხე სტალინური ხუთწლედის დიადი პროგრამის შესრულებაში.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა
არმიის გენერალ ამხ. ა. ი. ანტონოვის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

არმიის გენერალ ამხ. ა.ი. ანტონოვის დაბადების 50 წლისთავთან დაკავშირებით და სახელმწიფოსა და სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების წინაშე მისი სერიოზული დამსახურების აღსანიშნავად ამხ. ალექსი ინოკენტის-ძე ანტონოვი დაჯილდოებულ იქნას ლენინის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ნ. შვერნიკი**
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ა. გორკინი**
მოსკოვი, კრემლი. 1946 წლის 14 სექტემბერი.

დიდდება შალის ქსოვილების გამოშვება

სსრ კავშირის საფეიქრო მრეწველობის სამინისტროს შალეულისა და მაუდის ფაბრიკებმა აგვისტოში გეგმის გადამეტებით გამოუშვეს 206 ათასი მეტრი ქსოვილები.

გეგმას მნიშვნელოვნად გადააჭარბეს ტელმანის სახელობის კომბინატმა ლენინგრადში, კრასნოხოლმის კომბინატმა მოსკოვში, მაუდის კომბინატმა „პროლეტარმა" (მოსკოვის ოლქი) და სხვებმა.

მოსკოვის პეტრე ალექსეევის სახელობის ფაბრიკაში და ფაბრიკა „ოსვობოჟდიონი ტრუდში", მოსკოვის ოლქის სერპუხოვის და პუშკინის ფაბრიკებში შემოღებულია დამატებითი მოწყობილობა-აპარატები, სელფაქტორები, საფეიქრო დაზგები, მუშაობა დაიწყო შალეულის ფაბრიკამ ვოროშილოვგრადში.

„გლავშერსტის" საწარმოები ემზადებიან წარმოების შემდგომი გაფართოებისათვის. მეოთხე კვარტალში მათ ქსოვილების გამოშვება უნდა გაადიდონ 600 ათასი მეტრით მესამე კვარტალთან შედარებით.

ფაბრიკებში მიღებულია 8.200-მდე ახალი მუშა, მათგან 2.600-ზე მეტი კაცი მხოლოდ უკანასკნელი ორი თვის განმავლობაში შევიდა. შალეულის წარმოების 3.500-მდე მუშაკი არმიიდან დაბრუნდა. ყველა საწარმოში მოწყობილია ახალ მუშათათვის სხვადასხვა სპეციალობის სწავლება.

(საქდესი).

საჭადრაკო მატჩი სსრ კავშირი—ამერიკის შეერთებული შტატები

13 სექტემბერს მოხდა პირველი ტურის დაუმთავრებელი პარტიების გათამაშება.

სტეინერ-ფლორის პარტიაში თეთრებს პარტიის გადადებისას ჩაუწერიათ მცდარი სვლა მეფით, რის შემდეგ ისინი ჰკარგავდნენ მეორე პაიკს. ამიტომ ამერიკელმა მაესტრომ შემდგომი წინააღმდეგობა უიმედოდ სცნო და გაუთამაშებლად დათმო პარტია.

გაუთამაშებლად დამთავრდა აგრეთვე ლილიენტალ-დეიკის პარტია. პარტნიორებმა პოზიცია სრულიად თანაბრად სცნეს და ყაიმზე შეთანხმდნენ.

ცოტა მეტხანს გაგრძელდა ბოტვინიკ-რეშევსკის პარტიის დამთავრება. გაკეთებულ იქნა მხოლოდ სამი სვლა, და რეშევსკიმ, რაკი მოსაგები თამაშის პირდაპირი შესაძლებლობა ვერ დაინახა და რისკის გაწევა არ ისურვა, შესთავაზა ყაიმი, რაც ბოტვინიკმა მიიღო.

შეუპოვარი დაცვის ნიმუში გვიჩვენეს გროსმაისტერებმა ბოლესლავსკიმ და კოტოვმა. პირველ მათგანს ერთი პაიკით ნაკლები ჰქონდა გადადებულ პოზიციაში გოროვიცის წინააღმდეგ, მაგრამ მარჯვე თამაშით შესძლო გაექარწყლებინა მოწინააღმდეგის ყველა ცდა გამარჯვების მისაღწევად. მას შემდეგ, რაც დაფაზე დარჩა გოროვიცის მხედარი და პაიკი ბოლესლავსკის კუს წინააღმდეგ, პარტნიორები ყაიმზე შეთანხმდნენ. ძალიან მწვავედ მიმდინარეობდა კოტოვ-კაშდენის პარტიის ეტლების ენდშპილი. ორივე მოწინააღმდეგის სწრაფად გაჰყავდა თავისი პაიკები ლაზიერებად. კაშდენმა ერთი არაზუსტი სვლა დაუშვა, და კოტოვმა, მიუხედავად იმისა, რომ პაიკი არ ჰყავდა, პარტიის გადარჩენის შესაძლებლობა მიიღო. პარტიის დანარჩენი ნაწილი კოტოვმა ძალიან ზუსტად ჩაატარა და 71-ე სვლაზე ჩაიწერა ყაიმი.

სმისლოვმა კარგად გამოიყენა თავისი უპირატესობა პარტიაში ამერიკის შეერთებული შტატების ჩემპიონ დენკერის წინააღმდეგ, მოიგო მეორე პაიკი და მას შემდეგ, რაც 52-ე სვლაზე ლაზიერების გაცვლა აუცილებელი გახდა, ამერიკის შეერთებული შტატების ჩემპიონმა თავი დამარცხებულად სცნო.

თავისი შანსები ვერ გამოიყენა ბონდარევსკიმ, რომელსაც მნიშვნელოვანი პოზიციური უპირატესობა ჰქონდა პარტიაში კევიტცის წინააღმდეგ. მან ვერ გამონახა სწორი გეგმა და პოზიცია თანდათან გამარტივდა. მას შემდეგ, რაც დაფაზე მხოლოდ თითო მხედარი და თითო პაიკი დარჩა, პარტნიორები ყაიმზე შეთანხმდნენ.

რაგოზინმა, რომელსაც მნიშვნელოვანი უპირატესობა ჰქონდა პარტიაში პინკუსის წინააღმდეგ, ზუსტი თამაშით 64-ე სვლაზე მიაღწია დამსახურებულ გამარჯვებას.

ყველაზე დიდხანს გრძელდებოდა ულვესტად-ბრონშტეინის პარტიის დამთავრება. მიუხედავად ზედმეტი, შორს წაწეული პაიკისა, ბრონშტეინმა დიდხანს ვერ მიაღწია რაიმე გადამწყვეტ უპირატესობას. ულვესტადის ფიგურებმა მტკიცე თავდაცვითი პოზიციები დაიკავეს და მას ყაიმის დიდი შანსები ჰქონდა. მაგრამ ულვესტადი ძლიერ ცაიტნოტში მოექცა და სავსებით ზუსტად ვერ ითამაშა. ეს პარტია 91-ე სვლაზე კვლავ გადაიდო და დამთავრდება ორშაბათს, 16 სექტემბერს. ბრონშტეინს მოგების შანსები აქვს.

14 სექტემბერს მატჩის მონაწილენი დაისვენებენ. 15 სექტემბერს შესდგება მატჩის მეორე ტური.

ინგლისელი საზოგადო მოღვაწე დენის ნ. პრიტი საქართველოში

საქართველოში ყოფნის დროს გამოჩენილი ინგლისელი საზოგადო მოღვაწე, სსრ კავშირთან კულტურული კავშირის ინგლისის საზოგადოების თავმჯდომარე, პარლამენტის წევრი ბ-ნი დენის ნოელ პრიტი სსრ კავშირთან კულტურული კავშირის ინგლისის საზოგადოების მდივნის ქ-ნ ჯუდიტ ტოდის თანხლებით რამდენიმე დღის განმავლობაში ეცნობოდა საქართველოს კულტურულ და სამეცნიერო დაწესებულებათა საქმიანობას, თბილისის და რესპუბლიკის სხვა ქალაქების ისტორიულ ძეგლებსა და ღირსშესანიშნავ ადგილებს.

სტუმრებმა ინახულეს თბილისის კინოსტუდია, სადაც მათ უჩვენეს დოკუმენტალური კინოფილმი „საბჭოთა საქართველო 25 წელი" და მხატვრული ისტორიული კინოსურათი „დავით გურამიშვილი".

სტუმრებმა დიდი ინტერესით დაათვალიერეს საქართველოს ძველი არქიტექტურის ძეგლი — მცხეთის ტაძარი „სვეტიცხოველი", აგრეთვე მცხეთა-სამთავროს გათხრები.

სტუმრებზე უდიდესი, წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა ამხანაგ სტალინის სამშობლოს ქალაქ გორის ნახვამ. სტუმრებმა დაათვალიერეს სახლი, სადაც დაიბადა და ბავშვობის წლები გაატარა დიდმა სტალინმა, აგრეთვე მუზეუმი, რომელიც მოგვითხრობს საქართველოსა და ამიერკავკასიაში ამხანაგ სტალინის ცხოვრებისა და რევოლუციური მოღვაწეობის შესახებ.

თბილისში სტუმრებს უჩვენეს ქართული ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის გამოსვლა ილიკო სუხიშვილის ხელმძღვანელობით. კონცერტის დამთავრების შემდეგ სტუმრები ესაუბრნენ ანსამბლის ხელმძღვანელს.

13 სექტემბერს დენის ნ. პრიტი ქ-ნ ჯუდიტ ტოდის თანხლებით მახარაძის რაიონში იყო. სტუმრებმა დაათვალიერეს მახარაძის რაიონის სოფელ ნატანების ბერიას სახელობის კოლმეურნეობა. ისინი დაწვრილებით ეცნობოდნენ კოლმეურნეთა ყოფა-ცხოვრებას, დაინტერესდნენ შრომის ორგანიზაციით, სამუშაოს დაგეგმვით კოლმეურნეობაში, კოლმეურნეთა შემოსავლით.

შემდეგ სტუმრები ბათუმს გაემგზავრნენ. აქ მათ დაათვალიერეს ამხანაგ სტალინის რევოლუციურ მოღვაწეობასთან დაკავშირებული ისტორიული ადგილები, გაეცნენ ქალაქის ღირსშესანიშნავ ადგილებს, დიდი ინტერესით დაათვალიერეს ბათუმის ბოტანიკური ბაღი და შემდეგ თბილისს დაბრუნდნენ.

თბილისში უცხოეთთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების თავმჯდომარემ ამხ. ნ. მიქავამ ინგლისის საზოგადო მოღვაწეების დენის ნ. პრიტისა და ჯუდიტ ტოდის პატივსაცემად დარბაზობა მოაწყო. დარბაზობას დაესწრნენ: საქართველოს კულტურის, მეცნიერების, ხელოვნების მოღვაწეები, თბილისის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, პრესის მუშაკები.

14 სექტემბერს სტუმრები ერევანს გაემგზავრნენ. აეროდრომზე ისინი გააცილეს უცხოეთთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების თავმჯდომარემ ამხ. ნ. მიქავამ, ამავე საზოგადოების პასუხისმგებელმა თანამშრომლებმა, აგრეთვე ქ. თბილისის საზოგადოებრიობის წარმომადგენლებმა. (საქდესი).

ნიადაგის მომზადება ციტრუსების გასაშენებლად

(საქართველოს სსრ ტექნიკური კულტურების სამინისტროს 10 სექტემბრის ცნობები)

რაიონები	ნიადაგის მომზადების გეგმა ჰექტრობით	მომზადებულია ჰექტრობით	შესრულება პროცენტობით	რაიონები	ნიადაგის მომზადების გეგმა ჰექტრობით	მომზადებულია ჰექტრობით	შესრულება პროცენტობით
აჭარის ასსრ	200	128	64	აბაშის	10	05	5
აფხაზეთის ასსრ	597	68	11,3	გეგეჭკორის	50	18	36,0
მახარაძის	126	79	62,6	ცხაკაიის	60	26	43,3
ჩოხატაურის	60	45	73,3	ჩხოროწყუს	45	15	33,3
ლანჩხუთის	67	25,6	38,2	ხობის	50	4	8
წალენჯიხის	35	17	48,5	ფოთის	30	—	—
ზუგდიდის	170	5	3				

16 სექტემბერს, საღამოს 8 საათზე, მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის დარბაზში ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი **გ. ი. კრამოლნიკოვი** პარტიული აქტივისათვის წაიკითხავს ლექციას თემაზე: **„რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის მესამე ყრილობის მონაწილის მოგონებანი".**

შესვლა მოსაწვევი ბარათებით, რომლებსაც გასცემენ საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის რაიკომები და საქალაქო პარტკაბინეტი.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმი

10-12 სექტემბერს შესდგა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმი.

პლენუმმა განიხილა ორი საკითხი:

1. კოლმეურნეობებისადმი ხელმძღვანელობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.

2. საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ზრდისა და საკავშირო კ. პ. (ბ) რიგებში ახლად მიღებულებთან პარტიულ-ორგანიზაციული და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.

პლენუმზე მოხსენება პირველი საკითხის შესახებ გააკეთა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. კ. ნ. ჩარკვიანმა.

— 10 წლის წინათ, — ამბობს ამხ. ჩარკვიანი, — 1936 წლის აგვისტოს ბოლოს საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე მოსმენილ იქნა ამხ. ბერიას მოხსენება საქართველოს კოლმეურნეობათა შემდგომი განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა დაამტკიცა ამხანაგ ბერიას მიერ შემუშავებული ღონისძიებანი და ისინი საფუძვლად დაედო პარტიული ორგანიზაციების მთელ მუშაობას საქართველოს სოციალისტური სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების საქმეში. ამ ღონისძიებათა განხორციელებამ, რომლებიც მთლიანად და სავსებით გამომდინარეობდნენ ამხანაგ **სტალინის** მოძღვრებიდან სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნის შესახებ, უზრუნველჰყო კოლმეურნეობათა პოლიტიკური, ორგანიზაციული და სამეურნეო განმტკიცება.

მაგრამ გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა მიერ საბჭოთა ხალხისათვის თავს მოხვეულმა ომმა მძიმე გავლენა იქონია საქართველოს სოფლის მეურნეობის შემდგომ განვითარებაზე. ომიანობის პირობებში შეუძლებელი გახდა მისი ყველაზე უფრო ინტენსიური და შრომატევადი დარგების შემდგომი გაფართოება. შეჩერებულ იქნა ჩაის ახალი პლანტაციების, ვენახის, ციტრუსების გაშენება. ამოცანა ის იყო, რომ შეგვენარჩუნებინა ჩაის, ციტრუსების, ვენახების და სხვა მრავალწლიანი კულტურების არსებული ნარგავები, შეგვენარჩუნებინა სასოფლო-სამეურნეო წარმოების მიღწეული დონე და უზრუნველგვეყო წითელი არმიის, მოსახლეობისა და ჩვენი ქვეყნის მრეწველობის შეუფერხებელი მომარაგება იმ პროდუქტებით, რომლებიც საბჭოთა საქართველოში მზადდება. ამ ამოცანებს საქართველოს კოლმეურნე გლეხობამ უთუოდ გაართვა თავი.

საქართველოს კოლმეურნეობანი ომიდან უფრო განმტკიცებული გამოვიდნენ პოლიტიკური და ორგანიზაციულ-სამეურნეო მხრივ. ისინი დაუყოვნებლივ შეუდგნენ შეწყვეტილ მუშაობას თავისი მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის და წარმატებით სპობენ ომის შედეგებს.

ამჟამად საქართველოში არის 4.079 კოლმეურნეობა, რომლებიც აერთიანებენ 462.560 საკოლმეურნეო კომლს.

კოლმეურნეობათა ეკონომიური ძლიერების განუხრელ განმტკიცებას მოწმობს მათი ძირითადი საწარმოო საშუალებების ღირებულების სწრაფი ზრდა. თუ 1935 წელს ეს ღირებულება 210.528 ათას მანეთს შეადგენდა, 1945 წელს მან 1.589.350 ათას მანეთს მიაღწია.

მიუხედავად ომით გამოწვეული დიდი სიძნელეებისა, განუხრელად იზრდებოდა კოლმეურნეობათა საერთო ნატურალური და ფულადი შემოსავალი.

1936 წელს საქართველოში იყო 7 მილიონერი კოლმეურნეობა, 1945 წელს კი — 180.

დამახასიათებელია ცნობები მოწინავე კოლმეურნეობებში კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურების შესახებ. წითელწყაროს რაიონის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში 1940 წელს შრომადღეზე გაცემულ იქნა 3,96 კილოგრამი მარცვლეული და 1 მან. 45 კაპ. ფულად. 1945 წელს ამ კოლმეურნეობაში შრომადღეზე გაცემულ იქნა 10 კილოგრამი მარცვლეული და 6 მან. 30 კაპ. ფულად.

გორის რაიონის არტელ „წითელი თორტიზის" კოლმეურნეებმა 1940 წელს შრომადღეზე მიიღეს 2,5 კილოგრამი მარცვლეული და 17 კაპიკი ფულად, ხოლო 1945 წელს—11,6 კილოგრამი მარცვლეული და 4 მან. 96 კაპ.

წითელწყაროს რაიონის ჟდანოვის სახელობის არტელის რიგითი კოლმეურნის ილო ჯავაშვილის ოჯახმა 1945 წელს გამოიმუშავა 722 შრომადღე და მიიღო 7.187 კილოგრამი მარცვლეული, 433 კილოგრამი მზესუმზირის თესლი, 237 ლიტრი ღვინო და 3.400 მანეთი ფულად.

კოლმეურნე იასონ გუჯაბიძის ოჯახმა (მახარაძის რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობა) გამოიმუშავა 1.386 შრომადღე. მისმა შემოსავალმა შეადგინა: 25.000 მანეთი ფულად და 4.400 კილოგრამი მარცვლეული. გარდა ამისა, საკარმიდამო ნაკვეთიდან მან მიიღო 250 კილოგრამი მარცვლეული და 4.800 მანეთი ფულად.

ასეთი შემოსავალი აქვს ამ არტელის ბევრ კოლმეურნეს.

ზუგდიდის რაიონის სოფელ ახალსოფლის ბერიას სახელობის არტელის კოლმეურნის, პლატონ ყუფუნიას ოჯახმა შარშან გამოიმუშავა 1.638 შრომადღე, მიიღო ფულად 30.500 მანეთი და 4.020 კილოგრამი მარცვლეული.

ეს მაჩვენებლები მოწმობენ საქართველოს კოლმეურნეობათა მეურნეობისა და კოლმეურნეთა შეძლებულობის განუხრელ ზრდას ომიანობის პირობებშიც კი.

ასეთია ომიანობის წლებში საქართველოს სოფლის მეურნეობისა და კოლმეურნეობათა მუშაობის შედეგები. ეს შედეგები მკაფიოდ მოწმობენ საკოლმეურნეო წყობილების მძლავრ და უძლეველ სასიცოცხლო ძალას.

მაგრამ კოლმეურნეობათა ხელმძღვანელობის გაძლიერების ღონისძიებათა საკითხი პლენუმის განსახილველად სრულიადაც იმისთვის არ არის დასმული, რომ ვილაპარაკოთ საკოლმეურნეო წყობილების მხოლოდ მიღწევებზე. დღეს ჩვენი ამოცანაა გამოვავლინოთ ნაკლოვანებანი კოლმეურნეობათა მუშაობაში და კოლმეურნეობათა ხელმძღვანელობის მთელ საქმეში. ეს ნაკლოვანებანი ცოტა როდია.

კოლმეურნეობათა მიმართ ხშირად უშვებენ ადმინისტრირებას. იშვიათი როდია შემთხვევები, როდესაც პარტიული და საბჭოთა ორგანოების მუშაკები, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები თვითნებურად განაგებენ საკოლმეურნეო ქონებას, ითვისებენ და ფლანგავენ საკოლმეურნეო დოვლათს, არასწორად იხარჯება კოლმეურნეობათა სახსრები. ირღვევა კოლმეურნეობათა ხელმძღვანელი ორგანოების არჩევითობა. სათანადო მზრუნველობას არ იჩენენ კოლმეურნეობათა ხელმძღვანელი კადრებისათვის, მათი სწორად შერჩევის, მომზადებისა და სამუშაოზე შენარჩუნებისათვის.

საქართველოს ბევრ კოლმეურნეობაში ადგილი აქვს სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების სერიოზულ დარღვევებს, პირველ რიგში მიწათსარგებლობის საკითხების დარგში.

კოლმეურნეობათა მიწების განიავების შემთხვევები განსაკუთრებით გახშირდა ომის პერიოდში. ინდივიდუალური მებოსტნეობისა და საწარმოთა და დაწესებულებათა დამხმარე მეურნეობების მოწყობის სახით კოლმეურნეობებს ფაქტიურად ბევრი საუკეთესო მიწა ჩამოეჭრა.

ბორჩალოს რაიონში, სადაც სარწყავი მიწის დიდი მასივებია, დამხმარე მეურნეობებისათვის გადაცემულია საკოლმეურნეო მიწების დიდი ფართობები.

დიდძალი საკოლმეურნეო მიწა განიავებულია გურჯაანის რაიონში, თუმცა ეს რაიონი მცირემიწიან რაიონად ითვლება და განსაზღვრული სათესი ფართობი აქვს.

პარტიის გურჯაანის რაიკომის მდივანი ამხ. ფეიქრიშვილი და რაიაღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ხამადაშვილი მშვიდად უცქერიან ამ უმსგავსოებას და არავითარ ზომებს არ იღებენ მის წინააღმდეგ.

ამხ. ჩარკვიანი შეჩერდა საკოლმეურნეო დემოკრატიის დარღვევის ფაქტებზე. ხშირად უხეშად სთელავენ საერთო კრებისა და გამგეობის უფლებებს. არის შემთხვევები, როცა კოლმეურნეობის ცხოვრების უმნიშვნელოვანეს საკითხებს — ნატურალური და ფულადი შემოსავლის, შრომითი რესურსებისა და სხვ. გამოყენებას — სწყვეტენ საერთო კრების გარეშე.

უხეშად ირღვევა კოლმეურნეობათა ხელმძღვანელი ორგანოების არჩევითობა.

გეგეჭკორის რაიონის სოფელ გეგეჭკორის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში გამგეობის არჩევნები 1938 წლიდან არ ჩატარებულა. საერთო კრების მიერ არჩეული გამგეობის ყველა წევრიდან დარჩა მხოლოდ თავმჯდომარე — პ. ჯანჯღავა. ყველა დანარჩენი წევრი „არჩეულია" თვით გამგეობის მიერ. საქმე იქამდე მივიდა, რომ გამგეობამ თავის სხდომაზე აირჩია სარევიზიო კომისიის მთელი შემადგენლობა.

ყოველივე ეს ხდება რაიონის ცენტრში, პარტიის გეგეჭკორის რაიკომის თვალწინ, რომელიც ვერ ამჩნევს ან არ სურს შეამჩნიოს ეს აღმაშფოთებელი დარღვევანი.

საგარეჯოს რაიონში კოლმეურნეობათა გამგეობებს თავისი შეხედულებით გადაჰყავთ გამგეობის წევრები სარევიზიო კომისიის წევრებად.

ამხ. ჩარკვიანი შეჩერდა ხელმძღვანელი საკოლმეურნეო კადრების შერჩევის, დაწინაურებისა და აღზრდის საკითხებზე და აღნიშნა მრავალი შეცდომა ამ საქმეში, კოლმეურნეობების ხელმძღვანელ მუშაკთა დიდი დენადობა.

ჯერ კიდევ ბევრ კოლმეურნეობაში არ იცავენ შრომის ორგანიზაციის ელემენტარულ წესებს. ბრიგადებზე ყველგან როდია მიმაგრებული მიწის ფართობები და წარმოების საშუალებანი. გამომუშავების ნორმებს ყოველთვის როდი ამტკიცებს საერთო კრება, საგრძნობია გათანაბრება შრომადღეების დარიცხვაში. არასაკმაოდ იყენებენ წამახალისებელ ღონისძიებებს მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდებისათვის.

სათანადოდ არ ებრძვიან საკოლმეურნეო მუშაობისათვის კოლმეურნეთა ერთი ნაწილის მიერ თავის არიდების წინააღმდეგ.

არასაკმაოდ იყენებენ სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდებით გათვალისწინებულ დასჯის ღონისძიებებს უდისციპლინო, უდარდელი კოლმეურნეების მიმართ. ამასთან ერთად, არის შემთხვევები, როდესაც ხელაღებით, დაუსაბუთებლად სჯიან და რიცხავენ სასოფლო-სამეურნეო არტელებიდან კოლმეურნეებს. ყველა ეს დარღვევა ბღალავს კოლმეურნეთა უფლებებს, ზარალს აყენებს კოლმეურნეობათა მეურნეობას.

კოლმეურნეობათა ნატურალური და ფულადი შემოსავალი წლითიწლობით დიდდება, მაგრამ ამდენადვე როდი იზრდება შრომადღის საშუალო ანაზღაურება. ეს იმიტომ ხდება, რომ ბევრ კოლმეურნეობაში შემოსავლისა და ფულის მნიშვნელოვანი ნაწილი იხარჯება არადანიშნულებისამებრ, არის აგრეთვე დატაცებისა და გაფლანგვის შემთხვევები.

კოლმეურნეობებში სახსრების არასწორად ხარჯვის შემთხვევები მნიშვნელოვნად ნაკლები იქნებოდა, კოლმეურნეობათა სარევიზიო კომისიები რომ მუშაობდნენ და ზუსტად ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობას. სამწუხაროდ, სარევიზიო კომისიების ნაწილი უმოქმედოა.

ზოგიერთ კოლმეურნეობაში მეტისმეტად დიდია ხარჯები ადმინისტრაციულ-სამმართველო აპარატის შესანახად. მათი სამმართველო აპარატი ზოგან ძლიერ გაბერილია. ბევრ მუშაკს უწერენ შრომადღეებს და უკანონოდ აძლევენ ფულს.

კოლმეურნეობათა ორგანიზაციული და სამეურნეო განმტკიცების საქმეში დიდ როლს უნდა ასრულებდნენ სოფლის პირველადი პარტიული ორგანიზაციები. ისინი მოვალენი არიან სისტემატურად გასწიონ მასობრივ-აღმზრდელობითი მუშაობა კოლმეურნეთა შორის, დარაზმონ ისინი საკოლმეურნეო მშენებლობის მორიგი ამოცანების შესასრულებლად.

პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა განახორციელონ კონტროლი კოლმეურნეობათა გამგეობების საქმიანობისადმი, გამოავლინონ და აღმოფხვრან ნაკლოვანებანი მათს მუშაობაში.

საჭიროა გადათვალიერებულ იქნას პარტიული ძალების განლაგება კოლმეურნეობებში, რათა მივაღწიოთ იმას, რომ ყოველ ბრიგადაში, მუშაობის ყველა გადამწყვეტ უბანზე კომუნისტები იყვნენ.

სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს სოფლის კომუნისტების პოლიტიკურ აღზრდას, უნდა გაფართოვდეს პარტიული წრეების ქსელი, უკეთ უნდა მომარაგდნენ სოფლის პარტიული ორგანიზაციები გაზეთებით, პოლიტიკური ლიტერატურით.

ამხ. ჩარკვიანმა ილაპარაკა კოლმეურნეობებისადმი პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელობის ნაკლოვანებებზე და აღნიშნა, რომ პარტიის რაიკომები არა იშვიათად საბჭოთა და სამიწათმოქმედო ორგანოების მაგიერობას ეწევიან. ნაცვლად იმისა, რომ სამეურნეო საკითხები სათანადო ორგანიზაციებში გაატარონ, ისინი ცდილობენ თავიანთი აპარატის ძალებით გადასწყვიტონ ეს საკითხები. ეს იმას იწვევს, რომ რაიაღმასკომები, სამიწათმოქმედო ორგანოები ჰკარგავენ მინდობილი საქმისათვის პასუხისმგებლობის გრძნობას, ჰკარგავენ ინიციატივას მუშაობაში.

მიუხედავად საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მითითებისა, ჩვენი რაიკომები ჯერ კიდევ მცირე ყურადღებას უთმობენ ჩამორჩენილ კოლმეურნეობებს, მათთვის დახმარების საქმეს. ამის შედეგია, რომ ჩამორჩენილ კოლმეურნეობათა რაოდენობა არ მცირდება.

პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა მიაღწიონ ამ კოლმეურნეობებში სერიოზული ორგანიზაციული და სამეურნეო უწესრიგობის აღმოფხვრას. საჭიროა გაუმჯობესებულ იქნას სოფლის მეურნეობისადმი ყველა პარტიული და საბჭოთა ორგანოს ხელმძღვანელობის ხარისხი. არ შეიძლება შეწყნარებულ იქნას შიშველი ადმინისტრირება კოლმეურნეობების ხელმძღვანელობაში, რასაც ზოგჯერ მიმართავენ ცალკეული ჩვენი პარტიული და საბჭოთა მუშაკები.

დასასრულ ამხ. ჩარკვიანმა პლენუმის მონაწილეთა ყურადღება გაამახვილა ახალ ხუთწლედში საქართველოს სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგების განვითარების საკითხებზე, პარტიული, საბჭოთა და სამიწათმოქმედო ორგანოების ამოცანებზე.

საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციებმა, რომლებსაც შეგნებული აქვთ მთელი საბჭოთა კავშირისათვის დიდმნიშვნელოვანი ჩვენი რესპუბლიკის მრავალფეროვანი სასოფლო მეურნეობის შემდგომი განვითარებისა და აყვავებისათვის ჩვენი ქვეყნის წინაშე, ამხანაგ **სტალინის** წინაშე დიდი პასუხისმგებლობა,—სთქვა ამხ. ჩარკვიანმა, — ბოლშევიკური თვითკრიტიკისა და კრიტიკის ფართოდ გაშლის საფუძველზე უნდა უზრუნველჰყონ კოლმეურნეობებისადმი ხელმძღვანელობაში ყველა ნაკლოვანებათა აღმოფხვრა და იმ ამოცანების შესრულება, რომლებიც დასახულია სტალინური ხუთწლედით.

* * *

ამხ. ჩარკვიანის მოხსენების გამო გაიშალა კამათი.

პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანმა ამხ. ბეჟვაძემ მოკლედ დაახასიათა რესპუბლიკის კოლმეურნეობათა მდგომარეობა, ილაპარაკა ძირითად მიღწევებზე საკოლმეურნეო მშენებლობის დარგში და ამასთან ერთად აღნიშნა მთელი რიგი სერიოზული ნაკლოვანებანი კოლმეურნეობათა ხელმძღვანელობის საქმეში.

— მიწათსარგებლობის კანონის დარღვევამ,—ამბობს იგი, — განსაკუთრებით ომის დღეებში მასობრივი ხასიათი მიიღო. დამნაშავეთა წინააღმდეგ მიღებულია ზომები. მარტო უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ჩამორთმეულია და კოლმეურნეობებს გადაეცა 614 ჰექტარი მიწა, რაც კოლმეურნეებმა თვითნებურად მიითვისეს და დაამუშავეს. მაგრამ მდგომარეობა კვლავ არადამაკმაყოფილებელი რჩება.

აჭარის სოფლებში კომუნისტებისა და კომკავშირელების დიდი არმია მუშაობს. მაგრამ ბევრი პირველადი პარტიული ორგანიზაცია სუსტად ახორციელებს კონტროლს კოლმეურნეობათა გამგეობების საქმიანობისადმი.

სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების უხეში დარღვევის ფაქტები მოიყვანა თავის სიტყვაში პარტიის წითელწყაროს რაიკომის მდივანმა ამხ. მირიანაშვილმა.

— კოლმეურნეობათა შემდგომი ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცების საქმეში,—ამბობს პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანი ამხ. მგელაძე,—უაღრესად სერიოზული მნიშვნელობა აქვს ხელმძღვანელი საკოლმეურნეო კადრების შერჩევას, დაწინაურებასა და აღზრდას. აფხაზეთში ამ კადრების ჯერ კიდევ დიდი დენადობაა, შექმნილი არ არის კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების მტკიცე კადრი. კოლმეურნეობების თავმჯდომარეთა უმრავლესობა მუშაობს 6 თვიდან 3 წლამდე. ეს, ცხადია, გავლენას ახდენს მათი მუშაობის ხარისხზე. კადრების დენადობა იმის შედეგია, რომ მათი შერჩევის დროს ხშირად ვიჩენთ გაუმართლებელ აჩქარებას, ცალკეულ შემთხვევებში რაიკომები არასერიოზულ დამოკიდებულებას იჩენენ საკოლმეურნეო კადრების შენარჩუნებისადმი. უსაფუძვლოდ ხსნიან კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებს.

გურჯაანისა და გეგეჭკორის რაიონების კოლმეურნეობებში განსაკუთრებით ბევრია სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების, მიწათსარგებლობის კანონის დარღვევის ფაქტები.

ბუნებრივია, რომ პარტიის ამ რაიკომების მდივნებს ამხ. ფეიქრიშვილსა და დარჯანიას უნდა მოეცათ რაიონის მდგომარეობის ობიექტური, საქმიანი შეფასება, ელაპარაკათ პარტიის რაიკომების, რაიაღმასკომების, სამიწათმოქმედო ორგანოების კონკრეტულ ღონისძიებებზე ამ დარღვევათა აღმოსაფხვრელად. ამხ. დარჯანიაც და ამხ. ფეიქრიშვილიც დაკმაყოფილდნენ რაიონში მოპოვებულ წარმატებათა ჩამოთვლით.

საქართველოს სსრ მიწათმოქმედების მინისტრმა ამხ. კვირკველიამ თავისი გამოსვლა მიუძღვნა მიწათმოქმედების კულტურის ამაღლების, მოწინავე აგრონომიული მეცნიერების მიღწევათა ფართოდ გამოყენების საკითხებს. ამხ. კვირკველია შეჩერდა ბალახმინდვრიანი თესლბრუნვის შემოღებისა და ბალახის თესვის საკითხებზე. მან პლენუმის მონაწილეთა ყურადღება მიაპყრო სერიოზულ ამოცანებს მევენახეობის შემდგომი განვითარების საქმეში.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის სასოფლო-სამეურნეო განყოფილების გამგე ამხ. ჭელიძე თავის სიტყვაში შეჩერდა კოლმეურნეობათა მუშაობის ნაკლოვანებებზე, მოიყვანა საკოლმეურნეო მიწების განიავების, განსხვისების ფაქტები. ბევრ კოლმეურნეობაში უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან შრომითი რეზერვების გამოყენებას. არის შემთხვევები, როცა შრომისუნარიან კოლმეურნეებს შრომისუნარმოკლებულთა კატეგორიაში რიცხავენ. თვალისახვევის ასეთი ფაქტები განსაკუთრებით გავრცელებულია ცხაკაიას, ჩხარის, გეგეჭკორის რაიონებში. საჭიროა კოლმეურნეობებში შრომის დისციპლინის განმტკიცება, მის დამრღვევთა წინააღმდეგ მკაცრი ზომების მიღება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ბაქრაძემ პლენუმის მონაწილეთა ყურადღება გაამახვილა სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების და მიწათსარგებლობის კანონის იმ დარღვევათა სერიოზულობაზე, რომლებიც რესპუბლიკის კოლმეურნეობებში გვხვდება. ამხ. ბაქრაძე შეჩერდა იმ მიზეზებზე, რომლებმაც ეს დარღვევები გამოიწვიეს, და ძირითადი ყურადღება დაუთმო პარტიული, საბჭოთა და სამიწათმოქმედო ორგანოების ამოცანებს ამ ნაკლოვანებათა ლიკვიდაციის საქმეში.

ამხ. ბაქრაძემ მოიყვანა საკოლმეურნეო დოვლათის განიავების ფაქტები და სთქვა, რომ ხშირად პარტიის რაიკომები, რაიაღმასკომები ადგებიან საკოლმეურნეო დემოკრატიის დარღვევის არასწორ გზას, თვითნებურად განაგებენ საკოლმეურნეო ქონებას.

საკოლმეურნეო ქონების განიავებას ხელს უწყობს აგრეთვე სათანადო აღრიცხვის უქონლობა, კოლმეურნეობებში ანგარიშწარმოების დარგის მუშაკთა სისუსტე. ის, რომ ხშირად კოლმეურნეობებში ანგარიშწარმოების სამუშაოზე უპატიოსნო ადამიანები ძვრებიან.

შემდეგ ამხ. ბაქრაძემ აღნიშნა სერიოზული ნაკლოვანებანი კოლმეურნეობებში შრომის ორგანიზაციის მხრივ. ბევრ კოლმეურნეობაში სამუშაო დღე გვიან იწყება და ადრე თავდება. კოლმეურნეები სისტემატურად მუშაობენ არასრულ დღეს. ბრიგადის, რგოლის შრომის აღრიცხვისას ყურადღებას აქცევენ მხოლოდ რაოდენობით მაჩვენებლებს, ხარისხს კი ივიწყებენ. ამხ. ბაქრაძემ სერიოზული ყურადღება დაუთმო კოლმეურნეობებში ქალთა შრომის ორგანიზაციას.

ამხ. ბაქრაძემ ილაპარაკა სასოფლო საბჭოების მუშაობაზე და აღნიშნა, რომ საჭიროა ამაღლდეს მათი როლი და მნიშვნელობა სოფლად, აღმოიფხვრას მათი მუშაობის გაუპიროვნების მავნე პრაქტიკა.

— მე ვფიქრობ,—ამბობს შემდეგ ამხ. ბაქრაძე, — რომ საკოლმეურნეო დემოკრატიის დარღვევის ფაქტები ასე ბევრი არ გვექნებოდა, კრიტიკა და თვითკრიტიკა უფრო ფართოდ რომ იყოს გაშლილი. ეს უნდა ვუსაყვედუროთ ჩვენს პრესას. საჭიროა პრესაში უფრო ფართოდ და ღრმად შუქდებოდეს კოლმეურნეობათა ცხოვრება, გაბედულად მჟღავნდებოდეს მათი მუშაობის ნაკლოვანებანი.

პარტიის სამხრეთ-ოსეთის საოლქო კომიტეტის მდივანმა ამხ. ცხოვრებაშვილმა თავის სიტყვაში მოიყვანა ოლქის კოლმეურნეობათა განმტკიცებისა და ზრდის მაგალითები. სოფელ ერედვის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობამ 1945 წელს საშუალოდ ჰექტარზე მიიღო 14,8 ცენტნერი მარცვლეული გეგმით გათვალისწინებული 13,4 ცენტნერის ნაცვლად. კოლმეურნეობაში ტარდება ბალახმინდვრიანი თესლბრუნვა. ყოველწლიურად იზრდება შრომადღის ღირებულება. კოლმეურნეობა მტკიცედ დგება კულტურული, შეძლებული ცხოვრების გზაზე. აგებულია ჰიდროელექტროსადგური, მუშაობს აბანო, საბავშვო დაწესებულებები, კლუბი, ქოხ-სამკითხველო.

— მიწათსარგებლობის კანონის დარღვევის ფაქტები, — აღნიშნავს ამხ. ცხოვრებაშვილი, — შესაძლებელი გახდა იმის შედეგად, რომ პარტიის საოლქო კომიტეტი და რაიკომები სათანადო ყურადღებას არ აქცევენ კოლმეურნეობათა მუშაობას, კერძოდ, იმის შედეგად, რომ სათანადოდ არ ზრუნავენ საკოლმეურნეო კადრების აღზრდისათვის.

კამათში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე ამხ. ყურაშვილმა (საგარეჯოს რაიონი), მიქიაულმა (ყაზბეგის რაიონი), ყუჯიაშვილმა (გორის რაიონი), საყვარელიძემ (ზესტაფონის რაიონი).

* * *

მეორე საკითხზე — საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ზრდისა და საკავშირო კ. პ. (ბ) რიგებში ახლად მიღებულებთან პარტიულ-ორგანიზაციული და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ—მოხსენება გააკეთა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. მ. ი. ბარამიამ.

მომხსენებელმა მოიყვანა ციფრები და ფაქტები, რომლებიც მოწმობენ, რომ დიდი სამამულო ომის პერიოდში მთელ პარტიასთან ერთად მნიშვნელოვნად გაიზარდა საქართველოს პარტიული ორგანიზაცია.

მაგრამ ის ნაკლოვანებანი, რომლებზეც მიუთითებდა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი თავის 1946 წლის 26 ივლისის გადაწყვეტილებაში პარტიის ზრდისა და საკავშირო კ. პ. (ბ) რიგებში ახლად მიღებულებთან პარტიულ-ორგანიზაციული და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ, მთლიანად ეხება საქართველოს პარტიულ ორგანიზაციებსაც.

მრავალი პარტიული ორგანიზაცია საკმაო ზრუნვას არ იჩენდა პარტიული რიგების შემადგენლობის სისტემატური გაუმჯობესებისათვის, არ იცავდა ინდივიდუალური შერჩევის პრინციპს, არსებითად პარტიაში მიღება თვითდინებას მიანდეს.

ამხ. ბარამიამ მკაცრად გააკრიტიკა ის პარტიული კომიტეტები, რომლებიც, პარტიის რიგების ხარისხობრივი გაუმჯობესების საზიანოდ, თვითონ აიძულებდნენ პარტიულ ორგანიზაციებს არასწორად ემოქმედნათ. სოხუმის საქალაქო კომიტეტმა გასული წლის აგვისტოში მიიღო გადაწყვეტილება, რომლითაც გააფრთხილა სამრეწველო კომბინატის პარტიული ორგანიზაციის მდივანი ამხ. ხარებავა, რომ თუ იგი გადამჭრელ ზომებს არ მიიღებდა პარტიის რიგების ზრდისათვის, მის წინააღმდეგ სასტიკი ზომები იქნებოდა მიღებული. საქალაქო კომიტეტმა ეს არასწორი გადაწყვეტილება გააუქმა მხოლოდ საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მითითების შემდეგ.

პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ახალი ხუთწლიანი გეგმის შესრულებისათვის პირველხარისხოვანი მნიშვნელობის მქონე მრეწველობის უმნიშვნელოვანეს დარგების ძირითად საწარმოთა მუშებისა და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების, აგრეთვე მეცნიერი მუშაკების პარტიაში მიღებას.

მაგრამ საქართველოს ბევრი პარტიული ორგანიზაცია აქტიურ მუშაობას არ ეწევა წარმოების მუშებში, ინტელიგენციაში, მოწინავე კოლმეურნეებში. განსაკუთრებით არადამაკმაყოფილებელია მუშაობა სამრეწველო მუშებსა და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს შორის. ეს თავის გამოხატულებას პოულობს პარტიული ორგანიზაციების შემადგენლობაში. 1945 წლის მანძილზე და მიმდინარე წლის პირველ ნახევარში თბილისის პარტიულმა ორგანიზაციებმა პარტიაში მიიღეს 3.867 კაცი, აქედან 1.208 მუშა, ანუ 31,2 პროცენტი. ქუთაისის საქალაქო პარტიულ ორგანიზაციაში ამ პერიოდში მიღებულთა რიცხვიდან მუშები მხოლოდ 27 პროცენტია.

პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელთა უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ყოველდღიური ზრუნვა კომუნისტების იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებისათვის. ზოგიერთი პარტიული ორგანიზაცია დაადგა ახალგაზრდა კომუნისტების მიერ მარქსისტულ-ლენინური თეორიის დამოუკიდებლად შესწავლის საქმეში „ჩაურევლობის" არასწორ გზას, თავს არიდებს კონტროლს მათი თვითგანათლების მიმდინარეობაზე, პრაქტიკულ დახმარებას არ უწევს კომუნისტებს.

ზოგან სათანადოდ არ აფასებენ პარტიული განათლების ისეთ ფორმებს, როგორიცაა წრეები და პოლიტსკოლები. ამის შედეგად წრეები უსისტემოდ მუშაობენ.

სერიოზული ნაკლოვანებებია, კერძოდ, უმაღლესი სასწავლებლების, სამეცნიერო და საბჭოთა დაწესებულებების კომუნისტთა მარქსისტულ-ლენინურ აღზრდაში.

იდეოლოგიური მუშაობის შეუფასებლობით შეიძლება აიხსნას ის ფაქტი, რომ საქართველოს მწერალთა კავშირის პარტიული ორგანიზაცია მწერლებს შორის საჭირო პოლიტიკურ და იდეურ-თეორიულ მუშაობას არ ეწევა. მწერალთა გარკვეული ნაწილის პოლიტიკური დონე დაბალია. იდეოლოგიური მუშაობის სუსტად დაყენების შედეგია ის, რომ ზოგიერთი მწერლები, მათ შორის კომუნისტებიც, ბეჭდავენ მხატვრულად სუსტ, ხოლო ხშირად აშკარად მიუღებელ უიდეო ნაწარმოებებს. პარტიის ბერიას რაიკომს მეტი კონკრეტული დახმარება რომ აღმოეჩინა მწერალთა კავშირის პარტიული ორგანიზაციისათვის, ეს ნაკლოვანებანი გაცილებით მცირე იქნებოდა.

პარტიულ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობა ახალგაზრდა კომუნისტების აღზრდის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საშუალებაა, მაგრამ ახალგაზრდა კომუნისტები ჯერ კიდევ სუსტად არიან ჩაბმულნი პარტიულ ცხოვრებაში. არასაკმაოდ არის გამოყენებული ბოლშევიკური აღზრდის ისეთი საშუალებები, როგორიცაა პარტიული კრება, პარტიული დავალების შესრულება.

მხოლოდ შინაპარტიული მუშაობისა და ახალგაზრდა კომუნისტების პოლიტიკური აღზრდის სუსტად დაყენებით შეიძლება აიხსნას ის ფაქტი, რომ საქართველოს პარტიული ორგანიზაციები თავიანთ რიგებში ითვლიან 9 ათასზე მეტ სტაჟგადაცილებულ კანდიდატს.

ეს და სხვა ნაკლოვანებანი შესაძლო გახდა იმის გამო, რომ პარტიის ბევრმა რაიონულმა და საქალაქო კომიტეტმა მუშაობის არასწორი სტილი შეითვისა. პარტიის რაიონული და საქალაქო კომიტეტები გატაცებული არიან მიმდინარე ადმინისტრაციულ-სამეურნეო საქმეებით, გადაჭარბებულ მეურვეობას იჩენენ საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების მიმართ, ზოგჯერ მათ მაგიერობას ეწევიან და ხშირად მხედველობიდან უშვებენ პარტიულ-ორგანიზაციული და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის უმნიშვნელოვანეს საკითხებს, საკმაო ყურადღებას არ უთმობენ პირველად პარტორგანიზაციებს, არ ეყრდნობიან მათ, არ ზრუნავენ მათი როლისა და გავლენის გაზრდისათვის, მხედველობიდან უშვებენ იმ ფაქტს, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე პირველადი პარტორგანიზაციების ხელმძღვანელებად დაწინაურებული არიან ახალგაზრდა კომუნისტები, რომლებსაც საკმაო გამოცდილება არა აქვთ და დახმარება ესაჭიროებათ.

პარტიის რაიონულმა და საქალაქო კომიტეტებმა უნდა შესცვალონ თავიანთი მუშაობის მეთოდები და სტილი. საჭიროა გადაჭრით გაიზარდოს რაიონული კომიტეტის, როგორც ისეთი ორგანოს როლი, რომელიც კონტროლსა და ხელმძღვანელობას უწევს რაიონის ყველა ორგანიზაციას.

ბოლშევიკური კრიტიკისა და თვითკრიტიკის გაშლის, შინაპარტიული დემოკრატიის დაცვის საფუძველზე პარტიის რაიონულმა, საქალაქო და საოლქო კომიტეტებმა უნდა უზრუნველყონ პოლიტიკურ-ორგანიზაციული და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის აღმავლობა.

ამხ. ბარამია შეეხო პრესის როლს პარტიის რიგების ზრდისა და პარტიაში ახლად მიღებულთა შორის პარტიულ-ორგანიზაციული და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გაუმჯობესების საქმეში. მან აღნიშნა, რომ რესპუბლიკურმა გაზეთებმა „კომუნისტმა" და „ზარია ვოსტოკამ", აგრეთვე საოლქო, საქალაქო და რაიონულმა გაზეთებმა უფრო ვრცლად და ღრმად უნდა გააშუქონ თავიანთ ფურცლებზე პარტიული ცხოვრების საკითხები.

ამხ. ბარამიამ ილაპარაკა პარტიულ მუშაკთა ბოლშევიკურ პრინციპულობაზე, საწარმოებში, კოლმეურნეობებსა და დაწესებულებებში პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელი როლის სწორად გაგების საჭიროებაზე, იმაზე, რომ დაშვებულ არ უნდა იქნას პარტიული ორგანიზაციების მიერ თავისთავადობისა და დამოუკიდებლობის დაკარგვა.

წელს ჭიათურის მარგანეცის ტრესტის კაგანოვიჩის სახელობის მაღარომ სამშობლოს 12.181 ტონა მარგანეცი დააკლო. მაგრამ ამ მაღაროს მუშაკები თვალის ახვევას ეწეოდნენ და არასწორ ცნობებს აძლევდნენ გეგმის შესრულების შესახებ. ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციებმა გვერდი აუარეს ამ თვალისახვევას, არ გამოაშკარავეს გეგმების შესრულების შესახებ სახელმწიფოსადმი ანგარიშგებაში მიწერების დანაშაულებრივი პრაქტიკის ფაქტები. მათ გამოიჩინეს ლიბერალიზმი ამ ანტისახელმწიფოებრივი პრაქტიკისადმი. მათ დაივიწყეს, რომ

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმი

(დასასრული)

კომუნისტები უნდა იჩენდნენ ბოლშევიკურ პრინციპულობასა და შეურიგებლობას სახელმწიფოებრივი დისციპლინის დამრღვევთადმი. მაღაროებში პარტიული ორგანიზაციების სიფხიზლის მოდუნებასა და კონტროლის შესუსტებას ხელი შეუწყო იმან, რომ პარტიული ორგანიზაციების მდივნები პრემიებს იღებდნენ ადმინისტრაციისაგან.

სამეურნეო ორგანიზაციებისაგან პრემიებს რომ იღებდნენ, საქალაქო კომიტეტის მუშაკებსა და პარტორგანიზაციების მდივნებს არ შეეძლოთ გაეშალათ კრიტიკა. არ შეეძლოთ ელაპარაკნათ სრული ხმით. გამოემჟღავნებინათ ნაკლოვანებანი ტრესტისა და მისი საწარმოების მუშაობაში. ეს შესაძლებლობას აძლევდა კომბინატორებს შეცდომაში შეეყვანათ ზემდგომი ორგანოები.

— ასეთი არასწორი პრაქტიკა, — ამბობს ამხ. ბარამია, — უსპობს პარტიულ ორგანიზაციებს თავისთავადობასა და დამოუკიდებლობას, ჰქმნის უპრინციპო და ძმაბიჭურ ურთიერთობას, ასუსტებს პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელ როლს და მათ კონტროლს ადმინისტრაციის საქმიანობისადმი.

პარტიული მუშაობის ამოცანაა აღვზარდოთ ახალგაზრდა კომუნისტები მაღალი იდეურობით, პრინციპულობით, ვასწავლოთ მათ არ ეშინოდეთ სიძნელეებისა, გაბედულად მიდიოდნენ სიძნელეთა დასაძლევად. ამ მხრივ უდიდესი მნიშვნელობა აქვს შინაპარტიული დემოკრატიის მტკიცედ დაცვასა და განვითარებას. სამწუხაროდ, შინაპარტიული დემოკრატია ხშირად ირღვევა. მომხსენებელს მოჰყავს ფაქტები. სიღნაღის რაიონის 105 პირველადი პარტიული ორგანიზაციიდან მარშან 47 ორგანიზაციაში არ ჩაუტარებიათ საანგარიშო-საარჩევნო კრებები. პარტიის ბევრი რაიკომი დანიშნულ ვადებში არ იწვევს პლენუმებს.

— ჩვენ,—ამბობს ამხ. ბარამია,—გადაჭრით უნდა ავამაღლოთ მთელი პარტიული ცხოვრების დონე. ეს მთავარი პირობაა, რომ აღმოვფხვრათ ნაკლოვანებანი პარტიაში მიღების საქმეში, ახალგაზრდა კომუნისტებთან მუშაობაში.

ეჭვი არ არის, რომ საქართველოს პარტიული ორგანიზაციები, რომლებსაც მრავალი წლის მანძილზე ხელმძღვანელობდა დიდი სტალინის ერთგული თანამებრძოლი ლ. პ. ბერია, უახლოეს დროში აღმოფხვრიან არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებებს, გააუმჯობესებენ მუშაობას პარტიაში მიღების, ახალგაზრდა კომუნისტების ბოლშევიკურად აღზრდის დარგში.

* * *

პლენუმის მონაწილეებმა, რომლებიც ამხ. ბარამიას მოხსენების გამო კამათში გამოვიდნენ, ილაპარაკეს არსებით ნაკლოვანებებზე პარტიული ორგანიზაციების მუშაობაში საკავშირო კ. პ. (ბ) რიგებში მიღებისა და საკავშირო კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატებისა და ახალგაზრდა წევრების პოლიტიკური აღზრდის დარგში.

შეჩერდა რა პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის ღონისძიებებზე ახალგაზრდა კომუნისტების პოლიტიკური აღზრდის საქმეში, საქალაქო კომიტეტის მდივანმა ამხ. ნარსიამ ამასთან ერთად აღნიშნა ნაკლოვანებანი საქალაქო პარტიული ორგანიზაციის მუშაობაში პარტიაში მიღების მხრივ და მოიყვანა იმის დამადასტურებელი ფაქტები, რომ საქალაქო კომიტეტი და პირველადი პარტიული ორგანიზაციები მხედველობიდან უშვებდნენ პარტიაში მისაღებთა შემადგენლობის შესწავლას. ამის შედეგად პარტიაში მიღებულთა შორის ცოტანი არიან წამყვანი პროფესიების მუშები.

ახალგაზრდა კომუნისტ მეშახტეებს შორის მუშაობის შესახებ ილაპარაკა პარტიის ტყიბულის რაიკომის მდივანმა ამხ. ჯვებენავამ. ადგილობრივი პროპაგანდისტული ძალები გამოყენებული არიან ახალგაზრდა კომუნისტების პოლიტიკური განათლების დარგში სამუშაოდ, მუშაობენ წრეები, ტარდება ლექციები. მრავალმა ახალგაზრდა კომუნისტმა მნიშვნელოვნად აიმაღლა თავისი იდეურ-პოლიტიკური დონე, გაიზარდა პრაქტიკულ სამუშაოზე. უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში 81 ახალგაზრდა კომუნისტი დაწინაურებულია საპასუხისმგებლო სამუშაოზე. ამასთან ერთად ჯერ კიდევ არის არსებითი ნაკლოვანებანი პარტიაში მიღების დარგში. 1946 წლის მანძილზე 27 პირველადს პარტიულ ორგანიზაციაში სრულიად არ უწარმოებიათ მიღება.

პარტიის ონის რაიკომის მდივანმა ამხ. გორგიაშვილმა აღნიშნა, რომ ახალგაზრდა კომუნისტებთან სუსტი მუშაობის შედეგად რაიონის პარტიულ ორგანიზაციებში ითვლება 70 სტაჟგადაცილებული კანდიდატი.

პარტიის ბერიას რაიკომის (თბილისი) მდივანმა ამხ. გიგოშვილმა ილაპარაკა პარტიული ორგანიზაციების მუშაობაზე რაიონის ინტელიგენციაში და აღნიშნა სერიოზული ნაკლოვანებანი ამ საქმეში. რაიონში პარტიის წევრობის 770 კანდიდატიდან 56 პროცენტი სტაჟგადაცილებულია. მთელი რიგი სამინისტროების პარტიული ორგანიზაციები ცუდად მუშაობენ. რაიონში არსებობს მწერალთა კავშირის პარტიული ორგანიზაცია. მის მუშაობაზე, პარტიის რაიკომის მხრივ მისი საქმიანობის ხელმძღვანელობაზე ამხ. გიგოშვილის გამოსვლაში ძალიან ცოტა იყო ნათქვამი.

— საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა სასტიკად დაჰგმო პარტიაში ხელაღებით მიღების პრაქტიკა, დაუშვებლად სცნო ისეთი მდგომარეობა, როცა პარტიაში იღებენ ყველას, ვინც კი განცხადებას შემოიტანს, — ამბობს საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანი ამხ. ჩერქეზია. — ამავე დროს პარტიაში მიღებისადმი ასეთ მიდგომას ადგილი აქვს თბილისის ზოგიერთ პარტიულ ორგანიზაციაში.

თბილისში, ლენინის, სტალინის, 26 კომისრის, კიროვის რაიონების ტერიტორიაზეა მრეწველობის წამყვანი დარგების მრავალი საწარმო. პარტიაში მიღება ამ პარტიულ ორგანიზაციებში უნდა სწარმოებდეს თითქმის მთლიანად ამ საწარმოთა მუშების, ტექნიკური ინტელიგენციის ხარჯზე. მაგრამ ასე როდი ხდება. პარტიაში 1.337 მიღებულიდან სტალინის რაიონში მხოლოდ 27 პროცენტია საწარმოს მუშა. ახალგაზრდა კომუნისტების აღზრდის სკოლას წარმოადგენს მათი აქტიური მონაწილეობა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. მაგრამ მათ მნიშვნელოვან ნაწილს არა აქვს პარტიული დავალება. ახალგაზრდა კომუნისტებს საკმაოდ არ იზიდავენ პარტიულ კრებებზე საკითხების განხილვაში აქტიური მონაწილეობისათვის.

ამხ. ჩერქეზია დაწვრილებით შეჩერდა ახალგაზრდა კომუნისტების იდეურ-პოლიტიკური განათლების საკითხზე.

კომკავშირის, როგორც პარტიის ზრდის რეზერვის შესახებ, ილაპარაკა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. ზოდელავამ. მან აღნიშნა, რომ პარტიული ორგანიზაციები არასაკმარისად იყენებენ ამ რეზერვს. მან მოიყვანა ფაქტები, რომლებიც მოწმობენ ადგილებზე კომკავშირისადმი სუსტ პარტიულ ხელმძღვანელობას, და აღნიშნა, რომ პარტიული ორგანიზაციები საკმაო ყურადღებას არ აქცევენ კომკავშირში იდეოლოგიურ მუშაობას.

პარტიის მახარაძის რაიკომის მდივნის ამხ. სიხარულიძის გამოსვლა მიეძღვნა ახალგაზრდა კომუნისტების პოლიტიკურ აღზრდას, პარტიის წევრობის კანდიდატებსა და ახალგაზრდა წევრებს შორის პროპაგანდისტული მუშაობის ორგანიზაციას.

პარტიის 26 კომისრის რაიკომის (თბილისი) მდივანმა ამხ. გაბუნიამ განაცხადა, რომ რაიონის პარტიული ორგანიზაციის ნახევარი ახალგაზრდა კომუნისტებია, რომლებიც პარტიაში შევიდნენ ომის წლებში. მაგრამ მათთან მუშაობა არ შეიძლება დამაკმაყოფილებლად ჩაითვალოს. პარტიის კანდიდატთა 35 პროცენტი სტაჟგადაცილებულია. ეს მოწმობს სერიოზულ ნაკლოვანებებს ახალგაზრდა კომუნისტების აღზრდის საქმეში რაიკომის, პირველადი პარტიული ორგანიზაციების მუშაობაში.

დაახლოებით ასეთივე მდგომარეობაა თბილისის მოლოტოვის რაიონში. პარტიის მოლოტოვის რაიკომის მდივანმა ამხ. ლუარსაბოვმა აღნიშნა, რომ 389 კანდიდატიდან 135 სტაჟგადაცილებულია

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანმა პროპაგანდის დარგში ამხ. შარიამ ილაპარაკა ახალგაზრდა კომუნისტებთან მუშაობის სპეციფიკაზე.

— ზოგიერთი ამხანაგი, — აღნიშნა ამხ. შარიამ, — ერთმანეთში ურევს ორ საკითხს — პოლიტიკურ განათლებასა და პოლიტიკურ წრთობას. სწორედ ამიტომ ჰგონიათ ზოგჯერ, რომ ახალგაზრდა კომუნისტებთან ინტელიგენციიდან, — მეცნიერ მუშაკებთან, მწერლებთან, მსახიობებთან ნაკლებად საჭიროა პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა, ვიდრე სხვებთან. მაგრამ ეს ასე როდია. ბევრმა ახალგაზრდა კომუნისტმა იცის პარტიის ისტორია, წაკითხული აქვს მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაწარმოებნი. მაგრამ ეს ცოდნა წიგნობრივია, ნამდვილი პოლიტიკური წრთობა მათ არა აქვთ. ისინი ყალიბდებოდნენ იდეურად, პოლიტიკურად პარტიის გარეთ, და არც თუ ისე ცოტა ღონისძიებანია საჭირო, რომ ისინი აღვზარდოთ ბოლშევიკური სულისკვეთებით.

ახლახან დამთავრდა საქართველოს მწერალთა ყრილობა. მან გამოავლინა სერიოზული ნაკლოვანებანი მწერალთა შორის პარტიულ-პოლიტიკურ მუშაობაში. რა არის ამის მიზეზი? არა ის, რომ ბერიას რაიკომი ცოტას მუშაობდა მწერალთა კავშირის პარტიულ ორგანიზაციასთან, არამედ ის, რომ იგი ანგარიშს არ უწევდა ამ მუშაობის სპეციფიკას. და შემდეგ, ჩვენში არსებობს წარმოდგენა, რომ მწერალი განსაკუთრებული ყაიდის კომუნისტია, რომ მოთხოვნილება მისდამი დისციპლინის მხრივ სხვაგვარი უნდა იყოს, ვიდრე პარტიის დანარჩენი წევრებისადმი. ეს, რა თქმა უნდა, სწორი არ არის.

ასევე შეიძლება ითქვას სახელმწიფო უნივერსიტეტზე. იქაც პარტიული ორგანიზაცია ყოველთვის როდი ითვალისწინებს მუშაობის სპეციფიკას. პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა იქ სწარმოებს ვითარების გაუთვალისწინებლად. ამის შედეგად კომუნისტებს — პროფესორებს, აკადემიკოსებს ყოველთვის სწორად როდი ესმით თავიანთი მოვალეობანი, როგორც პარტიის წევრებსა და კანდიდატებს.

ამაში ბრალი მიუძღვით ჩვენს პარტიულ ორგანიზაციებს. ხშირად ისინი ასე მსჯელობენ: თუ პროფესორი, აკადემიკოსი ასრულებს პარტორგანიზაციის ყველა დავალებას, კითხულობს ლექციებს, იგი უკვე სანიმუშო ბოლშევიკია, ჩამოყალიბებული კომუნისტია. მათ ავიწყდებათ, რომ ბოლშევიკისაგან მოვითხოვთ შემტევ იდეოლოგიას, მაღალ იდეურ წრთობას.

ეს ეხება საწარმოთა ინჟინერ-ტექნიკურ პერსონალსაც. ჩვენი ახალგაზრდა ინტელიგენცია სწავლობს უმაღლეს სასწავლებლებში მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლებს, ასე რომ პარტიაში შესვლისას მას უკვე აქვს გარკვეული ცოდნა მარქსიზმ-ლენინიზმის დარგში. მაგრამ კომუნისტური იდეოლოგიის გამომუშავება ხდება არა რაიმე მოცულობის ცოდნის მიღების საფუძველზე, არამედ სოციალიზმისათვის მუშაობისა და ბრძოლის კომპლექსში.

შემდეგ ამხ. შარია აღნიშნავს, რომ ახალგაზრდა კომუნისტების სწავლებისა და აღზრდისათვის საჭირო არიან არა მხოლოდ მცოდნე პროპაგანდისტები, არამედ ყველაზე გამბრძმედლი პროპაგანდისტები. მათ არა მარტო პოლიტანბანი უნდა ასწავლონ, არამედ პოლიტიკურადაც აღზარდონ პარტიის ახალგაზრდა შევსება.

— ჩვენი პრესის შესახებ უნდა ვთქვათ,—ამბობს ამხ. შარია,—რომ იგი ჯერ კიდევ საკმაოდ არ ეხმარება პარტიულ ორგანიზაციებს პარტიაში ახლად მიღებულებთან პოლიტიკური, იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის სწორად დაყენებაში.

ჩვენ დიდი მუშაობა გვმართებს მასების იდეურ-პოლიტიკური აღზრდის დარგში. შემთხვევითი როდია, რომ პარტია ამჟამად მთავარ ყურადღებას აქცევს იდეოლოგიურ მუშაობას. ყველამ იცის პარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილება ლენინგრადის ჟურნალების „ზვეზდისა“ და „ლენინგრადის“ შესახებ. ამ გადაწყვეტილებიდან დასკვნები უნდა გააკეთოს ყველა პარტიულმა ორგანიზაციამ.

კამათში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე ამხ. გეთიამ (გულრიფშის რაიონი), ალავერდაშვილმა (სიღნაღის რაიონი), ფოფხაძემ (ხაშურის რაიონი).

* * *

კამათის დამთავრების შემდეგ პლენუმმა მიიღო გადაწყვეტილება ორივე განხილულ საკითხზე.

სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით პლენუმმა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრის მოვალეობისაგან გაათავისუფლა ამხ. ს. გ. ხოშტარია და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატის მოვალეობისაგან — ამხ. ვ. გ. გრიგორიანი.

საერთაშორისო მიმოხილვა

თვენახევარია მუშაობენ პარიზის საზავო კონფერენციის მონაწილენი.

გახსნის მომენტიდან დღევანდლამდე კონფერენციის მუშაობა მიმდინარეობს სხვადასხვა პოლიტიკური წარმომადგენლების კომბინაციებით, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი გამოიხატებოდა და გამოიხატება იმაში, რომ შესაძლებელი წარუმატებლობისათვის პასუხისმგებლობა დააკისრონ საბჭოთა კავშირს.

მაგრამ, ახლა, როცა წინ ჯერ კიდევ ბევრი გადაუჭრელი საკითხია, აშკარა ხდება, რომ კონფერენციის მუშაობა, თუმცა არც თუ ძალიან სწრაფად, მაინც წინ მიდის. დასასრულს უახლოვდება ფინეთთან საზავო ხელშეკრულების განხილვა. მიუხედავად მრავალი სხვადასხვა დაბრკოლებისა და ჩაშლის ცდებისა, მიღებულია გადაწყვეტილება სსრ კავშირის სასარგებლოდ რუმინეთისაგან მისაღები რეპარაციების ოდენობისა და მათი გადახდის წესის შესახებ. ხანგრძლივი განხილვის შემდეგ დამტკიცებულია აგრეთვე კარი იტალიისაგან სსრ კავშირისათვის გადასახდელი რეპარაციების შესახებ.

ყველაზე მეტ სიძნელეებს ხვდება სწორედ იმ პრობლემების განხილვა, რომლებთანაც დაკავშირებულია ანგარიშმწორება, აგრეთვე ანგლო-საქსური ქვეყნების და იმ სახელმწიფოების უსამართლო პრეტენზიები, რომლებიც მათთან ერთად გამოდიან. ეს, მაგალითად, ეხება იტალიის რეპარაციების საკითხს საბერძნეთის, ეგვიპტის, ინგლისისა და მთელი რიგი სხვა ქვეყნების სასარგებლოდ, რომლებმაც წამოაყენეს ვეებერთელა და ზოგჯერ სრულიად დაუსაბუთებელი მოთხოვნები. დიდი დაბრკოლებანი აჩნდება იტალია-იუგოსლავიის საზღვრის პრობლემის გადაჭრისასაც. საიდუმლო დიპლომატიის დარგში, კულისებს უკან მოლაპარაკების სიყვარულმა და მცირე ქვეყნების ინტერესების უგულებელყოფამ გამოიწვია ის, რომ ინგლისის წარმომადგენელმა მაკნილმა წინადადება წამოაყენა საერთოდ არ განეხილათ ტრიესტის სტატუტი, ვინაიდან, როგორც მან განაცხადა, „კომისიას შეუძლია [illegible] იდავოს“. ასეთი დამოკიდებულება ასობით ადამიანის ბედისადმი მით უფრო [illegible], რომ ინგლისის დელეგატებმა თავის დროზე მშვიდად მოისმინეს მრავალი ორატორის სიტყვები, რომლებიც ოთხი სხდომის მანძილზე იხილავდნენ საფრანგეთ-იტალიის საზღვარზე უდაბური 25 კაცით დასახლებული, მთიანი დაბის მონ ტაბორის პრობლემას.

კონფერენციის უდავოდ ნელი მუშაობის ერთ-ერთი მიზეზია სხვადასხვა წინადადებები და შესწორებები, რომლებიც მიმართულია საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს მიერ მომზადებული გადაწყვეტილებების მიღების ჩაშლის ან გადადებისაკენ. ავსტრალიის დელეგაცია ცდილობდა ჩაეშალა გადაწყვეტილება რუმინეთისაგან მისაღები რეპარაციების შესახებ და კვლავ სჩადის ამას მრავალი სხვა საკითხის მიმართ. კანადის დელეგაცია მოითხოვდა იტალიისაგან მისაღები რეპარაციების საკითხის განხილვის გადადებას. ბრაზილიის დელეგაციას სურდა ტრიესტის ბედის გამორკვევის ერთი წლით გაჭიანურება.

კონფერენციის მსვლელობაში ნათლად ჩანს ის ფაქტი, რომ სსრ კავშირი აწარმოებს დემოკრატიულ პოლიტიკას მცირე ქვეყნების ინტერესების სასარგებლოდ, პოლიტიკას, რომელიც იცავს მშვიდობისა და უშიშროების საქმეს. ამავე დროს გამოირკვა, რომ ზოგიერთი დიდი სახელმწიფოები და მათგან დამოკიდებული ქვეყნები ადგანან კურსს, რომელიც უხეშად არღვევს მცირე ქვეყნების უდავო ისტორიულ უფლებებს. ასეთი კურსი აღებულია იუგოსლავიისა და ალბანეთის მიმართ, რომლებმაც მეტისმეტად მძიმე მსხვერპლი გაიღეს იტალია-გერმანიის ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. თვით კონფერენციის ტრიბუნა თავისუფალი აღმოჩნდა აგრესიული სიტყვებისა და წინადადებებისათვის, რომლებიც სცილდება კონფერენციის რწმუნებათა ფარგლებს და დაუშვებელია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების საფუძვლების თვალსაზრისით. საბერძნეთის გამოსვლა ბულგარეთისა და ალბანეთის წინააღმდეგ აშკარად აგრესიული იყო.

სრულიად აშკარად გამოსთქვამენ მისწრაფებას მონოპოლისტური კაპიტალის პოლიტიკისა და ანგარებითი ინტერესებისადმი [illegible] დამოკიდებული გახდნენ მცირე ქვეყნები.

ზოგიერთი სახელმწიფოს რეაქციულ წრეებს არ მოსწონთ, რომ მათს მანევრებს ააშკარავებენ მთელი მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის წინაშე. ეს გასაგებიცაა, ვინაიდან კონფერენციის წინაშე დასმული საკითხების აშკარად განხილვა ხელს უშლის ისეთი გარიგებების განხორციელებას, რომლებსაც სდებდნენ დახურულ კარებს უკან ვერსალისა და მრავალ სხვა კონფერენციებზე. ახლა ყველას ესმის, რომ პირველი მსოფლიო ომის შემდეგ იტალიამ შესძლო ისტრიის სლავური მიწების მიღება მხოლოდ სხვის ხარჯზე ფარულ გარიგებათა მეოხებით.

საბჭოთა დიპლომატები მტკიცედ და თანმიმდევრულად იცავენ საზავო ხელშეკრულებების შეთანხმებულ პროექტებს, იცავენ მშვიდობის სამართლიან საქმეს.

* * *

პარიზის კონფერენცია იხილავს ხელშეკრულებათა პროექტებს იმ სახელმწიფოებისათვის, რომლებიც ფაშისტური გერმანიის მხარეზე იბრძოდნენ. მაგრამ ევროპისა და მთელი მსოფლიოს მომავალი მნიშვნელოვნად დამოკიდებულია იმაზე, თუ რა პოლიტიკას გაატარებენ გამარჯვებული ქვეყნები გერმანიის მიმართ.

ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის ბირნსის ამასწინანდელი გამოსვლა დიდ გერმანულ ქალაქ შტუტგარტში. ბირნსმა განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები მზად არიან „მთლიანად განახორციელონ დემილიტარიზაციისა და რეპარაციების ის პრინციპები, რომლებიც მოცემულია პოტსდამის შეთანხმებაში“ და აქვე დასძინა, რომ შეთანხმების დეტალებში თითქოს საჭიროა შეტანილ იქნას ზოგიერთი ცვლილება, თუ დაცული არ იქნა გერმანიის ეკონომიური ერთიანობის პრინციპი.

ბელგიის კათოლიკური გაზეთ „ლიბრ ბელჟიკ“ მიაჩნია, რომ ბირნსის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დებულებაა თეზისი იმის შესახებ, რომ „რეპარაციებმა და დემილიტარიზაციამ ხელი არ უნდა შეუშალონ გერმანიის ეკონომიურ განვითარებას“ და რომ გერმანელი ხალხი, ვითომდა, უკვე „მომწიფდა თავისი საკუთარი საქმეების მართვისათვის“.

ამერიკელმა რადიომიმომხილველმა სტილმა გააკრიტიკა ბირნსის გამოსვლა და სახელმწიფო მდივნის სიტყვა შეაფასა როგორც ამერიკის შეერთებული შტატების სურვილი „აღადგინოს გერმანია და მიაწოდოს გერმანიის ყველაზე უარესი პოლიტიკური ელემენტების მხარდაჭერის სსრ კავშირის წინააღმდეგ შესაძლო ომის მომზადებაში“. სტილი ხაზგასმით აღნიშნავს ბირნსის განზრახვას მნიშვნელოვანი შესწორებები შეიტანოს პოტსდამის დეკლარაციაში „გერმანიის სასარგებლოდ საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის ხარჯზე“. მიმომხილველი საეჭვოდ სთვლის დემოკრატიის წარმატებებს ამერიკულ ზონაში და პირდაპირ აღნიშნავს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციის მმართველობით ამ ზონაში ჰყავს კლერიკალური ფაშიზმი, თუ გავითვალისწინებთ, რომ აქ გერმანიის სამხედრო მრეწველობის საწარმოები ლიკვიდირებული არ არის, სავსებით ნათელია, რომ ლაპარაკი ზონების გაერთიანების შესახებ ასეთ ვითარებაში, ნაკლებად რეალური საქმეა.

ამერიკული გაზეთი „პმ“ სწერს, რომ ბირნსის სიტყვა არ ასახავს დემოკრატიული ევროპის საჭიროებებს და წარმოადგენს მისწრაფებას „მოიპოვოს გერმანელთა მეგობრობა და მოაწყოს გერმანიაში რუსეთის მიზნების წინააღმდეგ მიმართულ პროპაგანდას“. მეორე გაზეთი „ნიუ-იორკ პოსტი“ აცხადებს, რომ ბირნსის მიერ შემოთავაზებულ პოლიტიკას შეუძლია მხოლოდ „გააძლიეროს სწორედ ისეთი გერმანია, რომლის მოსპობაც მოკავშირეებმა ერთმანეთს შეჰფიცეს“.

* * *

კვირას, 8 სექტემბერს, ბულგარეთში შედგა საყოველთაო სახალხო კენჭისყრა, რომლის შედეგი ნიშნავს ბულგარეთში მონარქისტული წყობილების დასასრულს. ბულგარელი ხალხის ეს ისტორიული გამარჯვება მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ იგი ლახვარს სცემს დემოკრატიული ბულგარეთის შინაურ და გარეშე მტრებს. საბერძნეთში ამას წინათ შემდგარ კენჭისყრისაგან განსხვავებით, სადაც უცხოელების ჩარევამ და მონარქისტულმა ტერორმა გამარჯვება მოუტანეს რეაქციას, ბულგარელი ხალხი გამოვიდა სრულიად თავისუფლად და უმაგალითო აქტივობა გამოიჩინა. რესპუბლიკის სასარგებლოდ მიცემულია 3,8 მილიონი ხმა 4,1 მილიონ ხმის მიმცემთა საერთო რაოდენობიდან.

ბულგარეთის პრემიერ-მინისტრმა კიმონ გეორგიევმა აღნიშნა სამამულო ფრონტის საქმის პოპულარობა და განაცხადა, რომ „ბულგარეთში არ არის ისეთი პოლიტიკური მოძრაობა, რომელიც ხმას აღიმაღლებს მთელი ხალხის მიერ დაგმობილი მონარქიის სასარგებლოდ“. ბულგარეთის პრესა ახლა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ბულგარეთის გადაქცევა სახალხო რესპუბლიკად ახალი წვლილია ბალკანეთზე მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების საქმეში.

უცხოელი კორესპონდენტები აღნიშნავენ, რომ რეფერენდუმი გადაიქცა ნამდვილ დღესასწაულად და ჩატარდა ხალხის ფართო მასების ნების თავისუფლად გამოთქმის ვითარებაში.

ვ. ბრიშანინი

ფედერიკო გარსია ლორკა

(გარდაცვალების ათი წლისთავი)

ათი წლის წინათ ქალაქ გრენადაში გენერალ ფრანკოს ჯალათებმა დახვრიტეს ესპანელი რევოლუციონერი პოეტი და დრამატურგი ფედერიკო გარსია ლორკა. ამ ავაზაკურმა მკვლელობამ მთელი მსოფლიო შეაძრწუნა. ესპანეთისა და ლათინური ამერიკის პოეტებმა საერთო გლოვა გამოაცხადეს. ლორკას პატივისმცემელთა გულწრფელ გლოვას სხვა ქვეყნების მოწინავე ინტელიგენციაც გამოეხმაურა. ჩატარდა მრავალი სამგლოვიარო მიტინგი. აღშფოთებისა და პროტესტის ათასობით დეპეშა გაიგზავნა ფრანკოს ფაშისტური რეჟიმის წინააღმდეგ. კულტურის დაცვის პარიზის საერთაშორისო კონგრესის მონაწილეებმა ლორკას პორტრეტთან საზეიმო ფიცი დადეს, რომ არასოდეს არ დაივიწყებდნენ მის ნათელ ხსოვნას და ბოლომდე არ შეწყვეტდნენ ბრძოლას ფაშიზმის წინააღმდეგ. ბევრმა საერთაშორისო ორგანიზაციამ მოითხოვა ლორკას მკვლელობის მიზეზების გამოძიება და დამნაშავეების პასუხისგებაში მიცემა.

ფაშისტი მკვლელები დაიბნენ. ისინი არ მოელოდნენ, თუ ლორკას დახვრეტა ასეთ დიდ საერთაშორისო მღელვარებას გამოიწვევდა. დამნაშავეებმა სასწრაფოდ შეთხზეს ყალბი ვერსიები, თითქოს ლორკა „გაქცევის ცდის დროს“ შემთხვევით მოჰკლა უცნობმა ჯარისკაცმა, თითქოს ის „შეეშალათ“ მისივე გვარის სხვა მოქალაქეში. „ხელისუფლების“ წარმომადგენლები გაიზე გადგნენ. მათ სურდათ თავი ისე მოეჩვენებინათ, თითქოს ლორკას დახვრეტა მათგან დამოუკიდებლად მოხდა. ინგლისელი მწერლის ჰერბერტ უელსის შეკითხვაზე გრენადის გუბერნატორმა უპასუხა, რომ „მან არაფერი არ იცის ლორკას შესახებ“. „მე არ მესმის თქვენი შეკითხვა“ — უპასუხებდა მკვლელობის ორგანიზატორი გენერალი კეიპო დელანო ცნობილ საზოგადო მოღვაწეთა საპროტესტო წერილებს.

ესპანელმა ფაშისტებმა მაინც ვერ შესძლეს საზოგადოებრივი აზრის გზაკვალის აბნევა. დღეს ყველაფერი გამორკვეულია, ისიც, რომ ლორკას დახვრეტის შესახებ ბრძანება გერმანიიდან იქნა მიღებული, რომ ეს ბრძანება დასწერა ბერლინის „იბერულ-გერმანული ინსტიტუტის“ ხელმძღვანელმა გენერალმა ვილჰელმ ფონ ფაუპელმა.

ფაშისტმა ჯალათებმა კარგად იცოდნენ, თუ ვისთან ჰქონდათ საქმე. მათ სძულდათ ანტიფაშისტი პოეტი — რევოლუციონერი ლორკა. ეს სიძულვილი ფრანკისტებმა ლორკას ფიზიკური მოსპობის გარდა იმითაც გამოხატეს, რომ გრენადაში კარმენის მოედანზე საჯაროდ დაწვეს მისი ნაწერები.

ლორკა აქტიურ მონაწილეობას იღებდა ესპანელი ხალხის განმათავისუფლებელ ბრძოლებში. მისი სახელი ყოველთვის ამშვენებდა ანტიფაშისტ მწერალთა რიგებს. 1933 წელს ლორკამ სხვა ესპანელ რევოლუციონერ მწერლებთან ერთად ხელი მოაწერა გერმანიის საკონცენტრაციო ბანაკების ბარბაროსული რეჟიმის საწინააღმდეგო მანიფესტს. 1934 წელს ის მხურვალედ გამოეხმაურა ასტურიის მუშათა აჯანყებას. 1935 წელს ხელი მოაწერა კატალონიის ინტელიგენციის ანტიფაშისტურ მანიფესტს. ლორკა აღტაცებული იყო 1936 წლის თებერვლის სახალხო ფრონტის გამარჯვებით ესპანეთში. იმავე წელს რაფაელ ალბერტისთან ერთად მან დააარსა ანტიფაშისტური ინტელიგენციის კავშირი მადრიდში. ლორკა ბოლომდე ერთგულად იდგა თავისი ხალხისა და რესპუბლიკის იდეების სადარაჯოზე. გრენადის გზატკეცილზე დახვრეტის წინ მისი უკანასკნელი სიტყვები იყო: „გაუმარჯოს თავისუფალ სამშობლოს“.

სამწერლო მოღვაწეობა ლორკამ 20-იან წლებში დაიწყო. 1920 წელს თეატრ „ესლავაში“ დაიდგა მისი პირველი პიესა „პეპელას ჯადოსნობა“. მომავალ წელს ლორკას ლექსების პირველი კრებული გამოიცა. ამის შემდეგ 1927 წლამდე პოეტს არაფერი დაუბეჭდავს. ამ პერიოდში ის ბევრს მოგზაურობდა ლათინურ ამერიკაში, სწავლობდა ესპანურ ხალხურ შემოქმედებას, ეთნოგრაფიას, მუსიკას, მხატვრობას.

1927 წელს ლორკამ ლექსების მეორე კრებული — „სიმღერები“ გამოაქვეყნა; იმავე წელს მადრიდის თეატრ „ფანტელონსასა“ და ქალაქ ბარსელონაში დაიდგა მისი ერთ-ერთი საუკეთესო პიესა „მარიანა პინედა“. ლორკას ეს ნაწარმოები ფერდინანდ VII კლერიკალური, ფეოდალური ესპანეთის ფონზეა გაშლილი. პიესის მთავარი გმირი მარიანა პინედა ისტორიული პიროვნებაა. ის 1821 წელს სიკვდილით იქნა დასჯილი გრენადის ცნობილ აჯანყებაში მონაწილეობის მიღების გამო. ლორკას პიესის მიხედვით, მარიანა პინედა თავისუფლებისათვის ბრძოლის დროშას ჰქარგავს და ყოველმხრივ ეხმარება აჯანყებულებს. ის კაპუცინის ტანისამოსს მოხერხებულად შეაპარებს ციხეში და ათავისუფლებს აჯანყების ერთ-ერთ მეთაურს დონ პედროს. მარიანას აპატიმრებენ. მოსამართლე პედროსა მისგან მოითხოვს დანებდეს და გასცეს აჯანყებულთა გვარები. მარიანა ზიზღით უარყოფს პედროსას წინადადებას და გმირულად სწირავს თავს სამშობლოს კეთილდღეობას.

1928 წელს ლორკამ „ბოშური რომანსერო“ გამოაქვეყნა. ამ საუკეთესო წიგნს მალე ლირიკული ლექსების ორი კრებული მოჰყვა. ესპანურ ხალხურ შემოქმედებასთან მჭიდროდ დაკავშირებული თავისი პოეზიით ლორკამ გააცოცხლა ძველი კასტილიური სიმღერების ტრადიცია. მის ლექსებს ესპანეთის თითქმის ყველა კუთხეში მღეროდნენ. ბევრი მისი ნაწარმოები ისე გავრცელდა, რომ ხალხურ შემოქმედებად გამოცხადდა. ესპანეთიდან დაბრუნებული ჩილელი პოეტი პაბლო ნერუდა პარიზში ლორკას ხსოვნისადმი მიძღვნილ საღამოზე ამბობდა: „ფედერიკო გარსია ლორკა პოპულარულია ხალხთა მასებში ისე, როგორც პოპულარულია მათში გიტარა“. ლორკა პოეტიც იყო და მუსიკოსიც. ლექსი და მუსიკა მისი პოეტური შემოქმედების განუყოფელი ელემენტებია. ის მღეროდა თავის ლექსებს. ერთგან პოეტი სწერს: თუ ოდესმე მოვკვდე, გულზე გიტარა დამადეთ და ფორთოხლების ყვავილების ჩრდილში დამმარხეთ ყვითელ ქვიშაში. ლორკა თავის პოეზიაში გამოხატავდა ესპანელი ხალხის სევდას და თავისუფლებისათვის ბრძოლის მოტივებს.

ცხოვრების ექვსი უკანასკნელი წელი ლორკამ თითქმის მთლიანად დრამატურგიას უძღვნა. მისი ოცნება მადრიდში დიდი სახალხო რევოლუციური თეატრის შექმნა იყო. მან ჩამოაყალიბა მოხეტიალე დასი „ლაბარაკა“. ანდალუზიის, ასტურიისა და ესტრამადურის გლეხებს ის კლასიკური ესპანური დრამატურგიის საუკეთესო ნიმუშებს უჩვენებდა. თეატრს ლორკა უყურებდა, როგორც მასების სოციალურ-პოლიტიკური აღზრდისა და პროპაგანდის მძლავრ საშუალებას. ის სწერდა:

„თეატრი, რომელიც ყურს არ უგდებს მისი ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკურ მაჯისცემას, არ ეხმაურება მისი ქვეყნის მწუხარებას, არ სწვდება მის სულს, არ სტირის მისი ცრემლებით და არ იცინის მისი სიხარულით — არ არის ნამდვილი თეატრი. ის სათამაშო სახლია, სადაც — და რა არის ამაზე საძაგელი? — ჰკლავენ დროს“.

ლორკა თვითონაც სწერდა პიესებს თავისი თეატრისათვის. ეს პიესები დიდი წარმატებით იდგმებოდა ესპანეთისა და ლათინური ამერიკის თეატრებში. დიდი გამოხმაურება ჰპოვა ლორკას ლირიკულმა დრამამ „სისხლიანი ქორწინება“. ასეთივე წარმატება ხვდა წილად მის პიესებს: „იერმა“, „მშვენიერი მექოშე ქალი“, „დონა პერლიმპლინისა და ბელისის სიყვარული ბაღში, სადაც დგას კვიპაროსი“ და სხვ.

ლორკა დრამატურგიაშიც პოეტია. მისი „დრამატიული რომანსები“ ლექსადაა დაწერილი. რაფაელ ალბერტი ლორკას დამსახურებას ესპანური დრამატურგიის წინაშე იმაშიც ხედავდა, რომ მან შექმნა „პოეზიის თეატრი“. ლორკას დრამები ისევე ახლოა ესპანურ ფოლკლორთან, როგორც მისი ლირიკული ლექსები. ხალხური სისადავე, ჰუმორი, უშუალობა აძლიერებს მათ ღირსებას და გასაგებს ხდის ხალხთა ფართო მასებისათვის.

უნდა აღინიშნოს, რომ ლორკა საკმაოდ ნიჭიერი მხატვარიც იყო. 1927 წელს ის წარმატებით მონაწილეობდა ბარსელონის გამოფენაში.

ტრაგიკულმა სიკვდილმა უდროოდ შეაწყვეტინა 37 წლის ლორკას მრავალფეროვანი შემოქმედებითი მუშაობა. მან მთელი თავისი ნაყოფიერი ცხოვრება შესწირა ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლის, ფრანკოს სისხლიანი რეჟიმისაგან ესპანელი ხალხის განთავისუფლების საქმეს.

ფედერიკო გარსია ლორკას დაღუპვის 10 წლისთავზე მილიონობით მშრომელნი უდიდესი პატივისცემით მოიგონებენ თავისუფლებისათვის მებრძოლი დიდი პოეტისა და დრამატურგის სახელს.

დოცენტი მ. კვესელავა

ჩვენ გვწერენ

საჭირო მონდომება

სამამულო ომის დაწყებამდე ჩვენი საკოლმეურნეო კონტორის ირგვლივ ხეხილი დავრგეთ და ბაღი გავაშენეთ. მიმდინარეობდა კლუბის მშენებლობა. სოფელი უფრო და უფრო კეთილმოწყობილი ხდებოდა. სხვებთან ერთად მეც მიხაროდა ეს.

ომის დღეებში წითელ არმიაში გამოვწვიეს. ფრონტზე ხშირად ვფიქრობდი ჩემს სოფელზე, მის ადამიანებზე.

აი, ერთ წელზე მეტია ომი დამთავრდა. მე დემობილიზაციით დავბრუნდი წითელი არმიიდან. გული მეტკინა, როცა კონტორის ირგვლივ ჩვენი დარგული ხეხილის ბაღი განადგურებული დამხვდა. აქ სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს საკარმიდამო ნაკვეთი მოუწყვია და სიმინდი დაუთესია. კლუბი ძველებურზე უფრო ცუდად გამოიყურება. მისი მშენებლობის დამთავრებაზე არავინ ფიქრობს. სოფელში კინოსურათებს აღარ უჩვენებენ. წინათ საპარიკმახეროც გვქონდა მოწყობილი. ახლა იგი აღარ არის. კოლმეურნეები წვერის გასაპარსავად ქალაქში დადიან და დროს ტყუილ-უბრალოდ კარგავენ.

ჩვენ ამ მტკივნეული საკითხის მოგვარება ადვილად შეგვიძლია, თუ კოლმეურნეობის გამგეობა კოლმეურნეთა ინიციატივას სათანადოდ გაუძღვება.

მ. ციციშვილი

დემობილიზებული, ბორჯომის რაიონის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი

პარიზის საზავო კონფერენციაზე

იტალია-იუგოსლავიის საზღვრის სადავო უბნების განხილვა

პარიზი, 12 სექტემბერი. (საქდესის სპეც. კორ.). დღეს იტალიის პოლიტიკურ და ტერიტორიულ საკითხთა კომისიამ თავისი მუშაობის მნიშვნელოვანი ეტაპი დაამთავრა. დამთავრებულია იმ წინადადებათა და შესწორებათა განხილვა, რომლებიც იტალიისა და იუგოსლავიის საზღვარს ეხება. როგორც ცნობილია, კომისიის საყურადღებოდ წარდგენილია საზღვრის ხაზის ხუთი ვარიანტი. გარდა საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოში შეთანხმებული პროექტისა, რომელიც ეგრეთწოდებულ საფრანგეთის ხაზს ეყრდნობა, შეტანილია პროექტები, რომლებიც წამოაყენეს იუგოსლავიის, ბელორუსიის, ბრაზილიისა და სამხრეთ აფრიკის კავშირის დელეგაციებმა. იუგოსლავიის დელეგაცია მტკიცედ მოითხოვს, რომ იუგოსლავიას შეუერთდეს ის რაიონები, რომელთა მოსახლეობის უდიდეს უმრავლესობას სლოვენები შეადგენენ. ბელორუსიის დელეგაციის პროექტი ეთნიკური პრინციპიდან გამოდის და ითვალისწინებს ძველისძველი სლოვენური ტერიტორიების იუგოსლავიისათვის დაბრუნებას.

ამ სამართლიან პრინციპს მკვეთრად ეწინააღმდეგება ბრაზილიის დელეგაციის პროექტი, რომელიც სრულიად უსაფუძვლოდ მოითხოვს, რომ იტალიას დამატებით გადაეცეს სლოვენებით დასახლებული ვრცელი რაიონები, აგრეთვე ისიც, რომ ტრიესტის თავისუფალი ტერიტორია მნიშვნელოვნად გაფართოვდეს სლოვენურივე ტერიტორიების ხარჯზე. რაც შეეხება სამხრეთ აფრიკის დელეგაციის პროექტს, იგი ძირითადად ემთხვევა საფრანგეთის ხაზს, მაგრამ აგრეთვე მოითხოვს ტრიესტის თავისუფალი ტერიტორიის გაფართოებას იუგოსლავიის ხარჯზე.

ყველა ამ პროექტის განხილვა ისე იყო მოწყობილი, რომ მათს ავტორებს მიცემული ჰქონდათ შესაძლებლობა საფუძვლიანად დაესაბუთებინათ თავიანთი წინადადებანი. შემდეგ კომისიის წევრებს წინადადება ეძლეოდათ გამოეთქვათ თავიანთი დამოკიდებულება ამ პროექტებისადმი. რა აღმოჩნდა? მაშინ როცა განსაზღვრული ჯგუფი დელეგაციებისა, რომლებიც არაერთხელ გამოდიოდნენ იუგოსლაველი ხალხის კანონიერ მოთხოვნათა დაკმაყოფილების სასარგებლოდ, თავის მოვალეობად სთვლიდა კომისიაშიც გამოეთქვა აზრი,— სხვა დელეგაციები, რომლებიც ესოდენ ხშირად და მრავალსიტყვიერად ასაღებდნენ თავს მცირე ხალხების დამცველებად, — ამ დღეებში დაჟინებით სდუმდნენ. სად გაქრა ის სიტყვები, რომლითაც ყოველი საბაბით თუ უსაბაბოდ გამოდიოდნენ ავსტრალიის, ახალი ზელანდიის, ჰოლანდიისა და ზოგიერთი სხვა ქვეყნის დელეგატები! როცა თავმჯდომარე კითხვას აყენებდა, სურს თუ არა ვინმეს სიტყვა, ისინი თავიანთ მოვალეობად არ სთვლიდნენ გამოხმაურებოდნენ, თითქოს ლაპარაკი იყო სრულიად უმნიშვნელო საქმეებზე, რომლებიც ყურადღების ღირსი არ არის.

როგორც ჩანს, დელეგატთა გარკვეულმა ჯგუფმა თავისთვის გაიანგარიშა ხმის მიცემის არითმეტიკა და ზედმეტად ჩასთვალა გამოეიდეს აღძრული საკითხების არსის შესახებ, შეთანხმება ეძებოს ამ საკითხებზე.

* * *

დღევანდელი სხდომა დაიწყო იუგოსლავიის წარმომადგენლის ბებლერის სიტყვით. იგი ასაბუთებდა იუგოსლავიის დელეგაციის წინადადებას მეოთხე სადავო უბნის—ტრეიჩის (მონფალკონეს) რაიონის შესახებ. ამ რაიონში ცოტაოდენად სჭარბობს იტალიელი მოსახლეობა. იგი შეადგენს იულიის კრაინის ეროვნულ უმცირესობას. მრავალი ათეული წლის მანძილზე ამ უმცირესობის კავშირი სლოვენ უმრავლესობასთან განმტკიცდა და ორგანული გახდა. ტრეიჩი იულიის კრაინის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილის ეკონომიური ცენტრია. სწორი არ იქნება მისი მოწყვეტა წმინდა სლოვენური რაიონებისაგან, მით უმეტეს, რომ თვით ტრეიჩშიც მრავალი სლოვენი ცხოვრობს და მუშაობს. დამახასიათებელია, რომ 1910-დან 1936 წლამდე ამ ქალაქის მოსახლეობა თითქმის გაორკეცდა სლოვენი მოსახლეობის გადიდებით.

მაგრამ ჩეხოსლოვაკიის დელეგაციის წინადადება — შექმნილიყო ქვეკომიტეტი იტალია-იუგოსლავიის საზღვრის სადავო უბნების შესახებ შემოტანილ წინადადებათა განსახილველად უარყოფილ იქნა, თუმცაღა მხოლოდ ორი ხმის უმეტესობით.

კისელიოვის სიტყვა

ბელორუსიის დელეგაციის მეთაურმა კისელიოვმა, რომელიც გამოვიდა ბელორუსიის დელეგაციის მიერ შეტანილი შესწორების დასაცავად, თავის გამოსვლაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ ბელორუსიის ხაზს საფუძვლად უდევს ეთნიკური პრინციპი. ბელორუსიის დელეგაციას საფრანგეთის ხაზი დამაკმაყოფილებლად არ მიაჩნია, ვინაიდან ეს ხაზი იტალიას გადასცემს სლოვენებით დასახლებულ ტერიტორიებს, კერძოდ მთელ ბენეშის სლოვენიას, რომელშიც, იტალიის 1921 წლის აღწერის ცნობების თანახმად, ცხოვრობდა 30,904 სლოვენი და მხოლოდ 1,294 იტალიელი.

ბენეშის სლოვენები თავისუფლებისმოყვარე მთელი ტომია, რომელიც საუკუნეთა მანძილზე ინარჩუნებდა თავის ავტონომიურ მმართველობას. იტალიელმა ფაშისტებმა ეს ოლქი ხელში რომ ჩაიგდეს, ცდილობდნენ ძალდატანებით გაეიტალიელებინათ მისი მოსახლეობა. მაგრამ მათ ვერ ჩაახშეს სლოვენების მისწრაფება ეროვნული თვითმმართველობისაკენ. ბენეშის სლოვენიის მოსახლეობამ უკვე 1943 წლის გაზაფხულზე მოაწყო აჯანყება და ფაშისტების წინააღმდეგ ბრძოლაში შეინარჩუნა თავისი სისხლით მოპოვებული თავისუფლება ამ ომის ბოლომდე. მაგრამ იგი კვლავ მოექცა იტალიელთა ძალაუფლებისა და ფაშისტთა ბანდების ტერორქვეშ.

ბელორუსიის მიერ წამოყენებული ხაზი მთლიანად როდი აკმაყოფილებს ეთნიკურ პრინციპს, ვინაიდან მის დასავლეთით მაინც კიდევ რჩება 19 ათასზე მეტი სლოვენი, მაგრამ იგი უფრო სამართლიანია, ვიდრე საფრანგეთის ხაზი, ვინაიდან შესაძლებლობას იძლევა მოკვეთილ იქნას არაბუნებრივი სოლი მდინარე სოჩას დაბლობში კობარიდიდან პლავნიამდე და იუგოსლავიას უბრუნებს 15 ათას სლოვენს. აღნიშნული ტერიტორია მის აღმოსავლეთით მდებარე ტერიტორიასთან განუყოფელ მთლიანობას შეადგენს.

ბელორუსიის დელეგაცია მტკიცედ მოითხოვს, რომ იუგოსლავიას მთლიანად გადაეცეს ქალაქი გორიცა მის მომიჯნავე სლოვენურ სოფლებიანად. კისელიოვი მოაგონებს კომისიის წევრებს, რომ ქალაქი გორიცა წმინდა იტალიური როდია, რომ მისი მოსახლეობა შერეულია, მაგრამ საფრანგეთისა და ბელორუსიის ხაზებს შორის მდებარე სექტორში 8,341 მცხოვრებია, მათგან 7,767 სლოვენია და მხოლოდ 570 იტალიელი.

დასასრულ, ბელორუსიის დელეგაცია გადაჭრით ილაშქრებს ტრიესტიდან იტალიისაკენ იმ ხელოვნური კორიდორის შექმნის წინააღმდეგ, რომელიც მოიცავს მთელ საზღვაო სანაპიროს ტრიესტიდან ტრეიჩამდე. ეს სანაპირო ტრიესტთან და ტრიესტის სამხრეთით ზღვის სანაპიროს ასეთსავე მოკლე ნაკვეთთან ერთად სლოვენი ხალხის ერთადერთი გასასვლელია ზღვაზე. ეს სანაპირო ზოლი 86 კილომეტრზეა გადაჭიმული. საფრანგეთის ხაზით ნავარაუდევი კორიდორის ტერიტორიაზე, 1910 წლის აღწერის ცნობებით, ცხოვრობდა 12,590 სლოვენი და მხოლოდ 905 იტალიელი. თუ დამტკიცებულ იქნა საფრანგეთის ხაზი, ამით ზღვისპირა სლოვენი ხალხი მოწყვეტილი იქნება ზღვას.

კისელიოვმა შეაჯამა მსჯელობა და აღნიშნა, რომ საფრანგეთის ხაზი მთელ თავის მანძილზე ჰკვეთს იუგოსლავიას მისი ეთნიკური ტერიტორიის მნიშვნელოვან ნაწილს, რომელზეც 1910 წლის აღწერის ცნობებით 56,193 იუგოსლავი და მხოლოდ 14,913 იტალიელი ცხოვრობდა. ასეთი ხაზის მიღება ისტორიული უსამართლობა იქნება. კისელიოვი მტკიცედ მოითხოვს, რომ კონფერენციამ მიიღოს ბელორუსიის ხაზი.

კარდელის განცხადება

ამის შემდეგ გამოვიდა იუგოსლავიის დელეგაციის მეთაური კარდელი. მან სთქვა:

— იუგოსლავიის დელეგაციამ უკანასკნელი დღეების განმავლობაში აქ მოიყვანა თავისი მოთხოვნების დაწვრილებითი დასაბუთება. ჩვენ ვსარგებლობდით მხოლოდ ფაქტიური მასალებით, რომლების გაბათილებაც არ შეიძლება. დისკუსია იუგოსლავია-იტალიის საზღვრის შესახებ, რამდენადაც ეს იუგოსლავიისა და ბელორუსიის წინადადებებს ეხება, ახლა დამთავრებულია. როგორც ისტორიისათვის, ისე იმისათვის, რომ ჭეშმარიტების ერთგულნი დავრჩეთ, საჭიროა გავაკეთოთ რამდენიმე საერთო შენიშვნა ამ დისკუსიის დამთავრებისას, თუ საერთოდ შეიძლება ითქვას, რომ ადგილი ჰქონდა დისკუსიას.

ჯერ-ერთი, საჭიროა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი დელეგაცია უკანასკნელი სხდომების განმავლობაშიც და მანამდეც იცავდა იუგოსლავიის ხალხების სამართლიან მოთხოვნებს. იუგოსლავიის დელეგაციის სახელით მხურვალე მადლობას მოვახსენებ მათ და განსაკუთრებულ მადლობას ვუძღვნი ბელორუსიის დელეგაციას მისი ინიციატივისათვის. მეორე მხრივ, უნდა აღინიშნოს, რომ არცერთი დელეგატი არ გამოსულა ჩვენი არგუმენტაციის წინააღმდეგ. მაშინ როცა ოდნავი საპროცედურო საკითხებიც კი ძლიერ აფორიაქებენ კონფერენციის მონაწილეებს და ხანგრძლივ დისკუსიებს იწვევენ, იუგოსლავიის ხალხების საარსებო საკითხებს — საკითხებს, რომლებითაც ათეულ ათასობით ადამიანის ბედი სწყდება, — ბევრი დელეგატის სულ ოდნავი გამოხმაურებაც კი არ გამოუწვევია. დუმილი—ეს იუგოსლავიისა და ბელორუსიის წინადადებათა შესახებ დისკუსიის ყველაზე საინტერესო ფორმაა.

შეიძლებოდა გვეფიქრნა, თუ მხედველობაში მივიღებთ ამ დუმილს, რომ აქ არ არის არცერთი დელეგაცია, რომელიც ჩვენი წინადადებების წინააღმდეგი იყოს. მაგრამ სინამდვილეში საქმის ვითარება სხვანაირია. ზოგიერთი დელეგაციის დუმილი იმას ნიშნავს, რომ მათ იუგოსლავიის წინადადებების საწინააღმდეგო პოზიცია უჭირავთ. პოლემიკის ამ მეთოდს თავისი საფუძველი და აზრი აქვს. ასეთ მეთოდს მაშინ მიმართავენ, როცა ვინმე გადასწყვეტს მიაღწიოს რამეს, მიუხედავად ფაქტიური ვითარებისა, მიუხედავად სამართლიანი არგუმენტებისა, მიუხედავად სამართლიანობისა და სიმართლისა.

ფაქტი რჩება, რომ აქ იუგოსლავიას ჰგლეჯენ მის კანონიერად კუთვნილ ტერიტორიებს, აშკარად უგულებელჰყოფენ იმ ხალხის უცილობელ უფლებებს, რომელმაც ამ ომში 1,700 ათასი კაცი დაკარგა. ფაქტი რჩება, რომ გუშინდელ აგრესორს ხელში უდებენ იმ ხალხის ნაწილს, რომელიც იმათი უერთგულესი მოკავშირე იყო, ვინც ფაშისტური აგრესიის წინააღმდეგ იბრძოდა. ამ ფაქტების გაბათილება არ შეიძლება. ამით აიხსნება დუმილიც. ისტორია დაგვანახვებს, რომ ეს ამ კონფერენციის შეცდომა იყო.

მეორეც, უნდა აღვნიშნოთ, რომ იუგოსლავიის დელეგაციამ ყველაფერი გააკეთა, რაც კი შეეძლო შეთანხმების გასაადვილებლად. მან არსებითად დაიხია უკან თავისი თავდაპირველი მოთხოვნებიდან როგორც იუგოსლავია-იტალიის საზღვრის შესახებ, ისე თვით ტრიესტის შესახებ. ხოლო იმ სახელმწიფოთა ჯგუფს, რომლებიც თავიდანვე იუგოსლავიის მოთხოვნების წინააღმდეგი იყვნენ, ერთი ქვეტიც არ გაუკეთებიათ შეთანხმების მისაღწევად. ამ სახელმწიფოებს ერთი კომპრომისული წინადადებაც არ წამოუყენებიათ. გამოდის, თითქოს ამ სახელმწიფოთა დელეგაციებს საერთოდ არ სურთ მიაღწიონ იუგოსლავიასთან შეთანხმებას. ცხადია, დიდი სახელმწიფოსათვის ძალიან ძნელი და სარისკო როდია მცირე ქვეყნის ინტერესებისადმი უყურადღებობის პოზიციაზე დარჩეს. მაგრამ ეს არც სასახელოა და არც სამაგალითო ასეთი დიდი სახელმწიფოსათვის. კაცობრიობა მოელის მშვიდობას, მაგრამ მშვიდობის მიღწევა არ შეიძლება იმით, რომ მცირე სახელმწიფოს თავს მოახვიო თავისი ნება და მოახდინო მის წინააღმდეგ თავისი ძლიერების დემონსტრაცია. და ეს ფაქტიც ამ კონფერენციის შეცდომა იქნება.

მესამეც, საჭიროა აღინიშნოს, რომ იტალია-იუგოსლავიის საზღვრის სადავო უბნების განხილვის პროცესში მრავალმნიშვნელოვანმა დუმილმა ცხადყო, თუ რამდენად მართალი იყო იუგოსლავიის დელეგაცია პროცედურის საკითხზე გამართული დისკუსიის დროს, როცა იგი შიშს გამოსთქვამდა, რომ მიღებული პროცედურა შეიძლება გადაიქცეს ფორმალური კენჭისყრის, გადაწყვეტილებათა ფორმალურად მიღების საშუალებად. ეს საშუალება, ვფიქრობ, ახლა აქ თავის გამოყენებას ჰპოვებს. მაგრამ ფორმალურად მიღებულ გადაწყვეტილებათა ფაქტიური ღირებულება სრულიად პრობლემატურია. ასეთი გადაწყვეტილებებით არაფრის მიღწევა არ შეიძლება, არ შეიძლება შეიქმნას ხანგრძლივი მშვიდობის საყრდენი. ამ უდავო ფაქტის უგულებელყოფაც ამ კონფერენციის შეცდომა იქნება.

ეს სამი გარემოება, რომლებიც ხაზგასმით აღნიშნასაც იუგოსლავიის დელეგაცია საჭიროდ სთვლის, სანამ კონფერენცია გამოიტანდეს იტალია-იუგოსლავიის საზღვრის საკითხზე ისეთ გადაწყვეტილებებს, რომლებითაც იგი თვითონ გასწირავს თავს მარცხისათვის.

შესაძლოა, ჯერ კიდევ გვიან არ იყოს გამონახონ გზა შეთანხმებული გადაწყვეტილებისათვის. იუგოსლავიის დელეგაცია ერთხელ კიდევ მოუწოდებს ამ კონფერენციის ყველა დელეგატს ბოლოსდაბოლოს გადავიდნენ შეთანხმების მეთოდებზე. ხოლო თუ ასეთი შეთანხმება მიღწეულ არ იქნა, მაშინ რაღას უნდა მოელოდნენ მცირე ხალხები ამგვარი კონფერენციისაგან, გარდა სხვისი ნების თავს მოხვევისა? რა მორალურ შთაბეჭდილებას დატოვებს მსოფლიოში ასეთი წარუმატებელი კონფერენცია?

სხვისი ნების თავს მოხვევის მეთოდი მიუღებელია იუგოსლავიისათვის. იუგოსლავიის ხალხები პატარა, მაგრამ თავისი უფლებების დაცვის ჩვეული ხალხები არიან.

დასასრულ კარდელმა ითხოვა, რომ იუგოსლავიის დელეგაციის განცხადება შეტანილ იქნას ოქმში.

რუმინეთის სადაზღვევო საქმის უცხოეთის კომპანიებისათვის დამორჩილების ცდა

პარიზი, 12 სექტემბერი. (საქდესის სპეც. კორ.). რუმინეთის, ბულგარეთის, უნგრეთისა და ფინეთის ეკონომიურ საკითხთა კომისია დღეს შეუდგა ინგლისის წინადადების განხილვას რუმინეთთან საზავო ხელშეკრულების პროექტის დანართში განსაკუთრებული მუხლის შეტანაზე, რომელიც სადაზღვევო საქმეს შეეხება. ინგლისის წინადადების რთული ტექნიკური ფორმულების იქით ძნელი არ არის დაინახოთ ცუდად დაფარული მისწრაფება შექმნას უცხოეთის კომპანიებისათვის, კერძოდ ინგლისური კომპანიებისათვის, განსაკუთრებული პრივილეგიური პირობები, რაც მათ საშუალებას მისცემდა თავის მონოპოლიად გადაექციათ რუმინეთის სადაზღვევო საქმე.

ინგლისის განცხადების წინააღმდეგ გამოვიდნენ იუგოსლავიის, ჩეხოსლოვაკიისა და საბჭოთა კავშირის წარმომადგენლები, რომლებმაც აღნიშნეს, რომ არ არის არავითარი საბუთი უცხოეთის სადაზღვევო კომპანიებისათვის რაიმე განსაკუთრებული პირობების უზრუნველსაყოფად. რაც შეეხება, საერთოდ, გაერთიანებული ერების მოქალაქეთა ინტერესებს რუმინეთში, ისინი უკვე უზრუნველყოფილია საზავო ხელშეკრულების პროექტის სათანადო მუხლებით.

— როცა საქმე ეხება ზოგიერთი ჩვენი სამართლიანი მოთხოვნის დაკმაყოფილებას, რაც დაკავშირებულია აგრესიის შედეგად ჩვენი ხალხისათვის მიყენებული უდიდესი ზარალის ნაწილობრივ ანაზღაურებასთან, — სთქვა იუგოსლავიის წარმომადგენელმა,—ზოგიერთი დელეგაცია წინააღმდეგ ილაშქრებს და ამასთან იმოწმებს სულგრძელობას და სხვა მაღალ პრინციპებს. მაგრამ ისინი მაშინვე ივიწყებენ სულგრძელობას, როცა საქმე ეხება უცხოეთის კომპანიების ვიწრო ეგოისტურ ინტერესებს. ჩეხოსლოვაკიის დელეგატმა აღნიშნა, რომ ინგლისის წინადადების მიღება მავნე პრეცედენტს შექმნიდა სუვერენული ერის საშინაო კანონმდებლობაში ჩარევისათვის.

საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა გერაშჩენკომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საზავო ხელშეკრულებები, რომლებსაც პარიზის საზავო კონფერენცია ამზადებს, სრულიადაც არ არის ის იარაღი, რაც საშუალებას მისცემდა ერთ ქვეყანას ან უცხოელ მოვაჭრეთა ჯგუფს მოეწყო და გაეუმჯობესებინა თავისი კომერციული საქმეები. ინგლისის დელეგატი, სთქვა გერაშჩენკომ, ლაპარაკობდა სადაზღვევო საქმის მნიშვნელობაზე. მას მართლაც დიდი მნიშვნელობა აქვს. მაგრამ რატომ უნდა გადაეცეთ ინგლისის სადაზღვევო საზოგადოება „ლოიდის" გამგებლობაში რუმინეთის სადაზღვევო საქმის ინტერესები, როცა არსებობს რუმინეთის მთავრობა, რომელსაც ნაკლებად არ შეუძლია უზრუნველყოს ამ საქმის განვითარება? ინგლისის წინადადების მიღება გამოიწვევდა დაზღვევის დარგში რუმინეთის მთავრობის სუვერენული უფლებების სერიოზულ შეზღუდვას, აიძულებდა რუმინეთის მთავრობას შეეცვალა ამჟამად არსებული კანონმდებლობა და შესაძლებლობას მისცემდა უცხოელ კომპანიებს დაემორჩილებინათ რუმინეთის ეკონომიკის ეს დიდმნიშვნელოვანი დარგი.

ამ გამოსვლების შემდეგ ინგლისის დელეგატმა განაცხადა, რომ იგი მზად არის რამდენადმე შეცვალოს თავისი წინადადება, მაგრამ კვლავ დაჟინებით მოითხოვდა განსაკუთრებული რეჟიმის შექმნას უცხოეთის სადაზღვევო კომპანიებისათვის. ინგლისის წინადადების განხილვის გაგრძელება გადატანილია კომისიის შემდეგ სხდომაზე.

ეთიოპიის, პოლონეთისა და უკრაინის დელეგაციები მხარს უჭერენ ბელორუსიის ხაზს

ეთიოპიის წარმომადგენელმა განაცხადა, სწორი არ იქნებოდა იმის დავიწყება, რომ იუგოსლავიის ტერიტორია ყოველთვის იყო იტალიის იმპერიალისტური თავდასხმების ობიექტი. მან აღნიშნა, რომ სამართლიანი არ იქნებოდა ვაიძულოთ იუგოსლავია მისცეს მისი კანონიერად კუთვნილი ტერიტორია იტალიას. ეთიოპიის დელეგაციამ მხარი დაუჭირა ბელორუსიის ხაზს.

ბელორუსიის წინადადებას მხარი დაუჭირეს აგრეთვე პოლონეთისა და უკრაინის წარმომადგენლებმა.

დამახასიათებელია, რომ ამჯერადაც არავინ გამოსულა იუგოსლავიის და ბელორუსიის დელეგაციების მიერ მოყვანილი არგუმენტების წინააღმდეგ. იტალიისათვის სლოვენიის ტერიტორიის გადაცემის მომხრეები თითქოს დირიჟორის ჯოხის ნიშანზე არ გამოსულან საკითხის არსის საწინააღმდეგოდ. ისინი კვლავ სდუმდნენ და როგორც ჩანს არ ჰქონდათ არგუმენტები. ამასთან იმედი ჰქონდათ, რომ მათი შეთქმულება უზრუნველყოფს მათთვის შესაძლებლობას ჩაახშონ იუგოსლავიის სამართლიანი მოთხოვნები ხმების მექანიკური უმრავლესობით.

* * *

დღევანდელ სხდომაზე აგრეთვე გამოვიდა თავისი წინადადების არგუმენტაციით ბრაზილიის დელეგაციის წარმომადგენელი. მისი არგუმენტაცია მეტად ფუსფუსური და არადამაჯერებელი იყო. მართლაც, შეუძლებელია იმის დამტკიცება, რომ სამართლიანი იქნებოდა იტალიისათვის თითქმის მთელი ძველისძველი სლოვენიის გადაცემა. ბრაზილიის დელეგაცია გამოდის „ეთნიკური წონასწორობის" ყალბი პრინციპიდან. რამდენადაც საფრანგეთის ხაზის დასავლეთით მცხოვრებ იტალიელთა განსაზღვრული რაოდენობა განზრახულია ჩაირიცხოს ტრიესტის თავისუფალი ტერიტორიის მოქალაქეებად, ბრაზილიის დელეგაცია მოითხოვს, რომ ამ „მსხვერპლის" სამაგიეროდ იტალიას გადაეცეს კანალის ველისა და ბენეშის სლოვენიის სლოვენი მოსახლეობა. შემდეგ ბრაზილიის დელეგაცია მოითხოვს, რომ მთელი ქალაქი გორიცა მისი რკინიგზის კვანძიანად გადაეცეს იტალიას მხოლოდ იმ საფუძველზე, რომ საფრანგეთის ხაზი იუგოსლავიის ტერიტორიაზე სტოვებს ორ წყაროს, სასაფლაოსა და გორიცის ერთ სანატორიუმს. იგი წინადადებას იძლევა, რომ იუგოსლავებმა ააგონ ახალი რკინიგზა გორიცის შემოვლით, თუმცა ამისათვის, ინჟინრების ვარაუდით, საჭირო იქნებოდა 29 კილომეტრი გვირაბის გაყვანა. ასეთივე ხასიათისაა ბრაზილიის დელეგაციის სხვა წინადადებებიც.

ბრაზილიის დელეგატის შემდეგ სიტყვით გამოვიდა იუგოსლავიის წარმომადგენელი ბებლერი და განაცხადა, რომ იუგოსლავიის დელეგაცია უარჰყოფს ბრაზილიის ხაზს. პოლონეთის წარმომადგენელი ვინიევიჩი აგრეთვე ამ ხაზის წინააღმდეგ გამოვიდა. ამით დამთავრდა ბრაზილიის ხაზის განხილვა.

რამდენადაც სამხრეთ აფრიკის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ იგი უარს ამბობს გამოვიდეს თავისი წინადადებების დასაცავად, თავმჯდომარემ გამოაცხადა, რომ იტალია-იუგოსლავიის საზღვრის სადავო უბნების გამო შესწორებებისა და წინადადებების განხილვა დამთავრებულია. ხვალ კომისია შეუდგება იმ წინადადებების შესწავლას, რომლებიც შეეხებიან ტრიესტის თავისუფალი ტერიტორიის საზღვრებს.

პარიზი, 12 სექტემბერი. (საქდესის სპეც. კორ.). დღეს ძირითადად დამთავრდა იტალიასთან საზავო ხელშეკრულების პროექტის სამხედრო მუხლების განხილვა. სამხედრო კომისიაში ამ მუხლების განხილვისას ზოგიერთი სახელმწიფოების წარმომადგენლებმა გამოიჩინეს გულუხვობის მისწრაფება შემცირებინათ გერმანიის მხარეზე დამპყრობლურ ომში მონაწილეობისათვის იტალიის პასუხისმგებლობის წილი. მაგალითად, სამხრეთ აფრიკის კავშირის დელეგატმა ისიც კი სთქვა, რომ, ვითომდა, იტალია მეზობლების მხრიდან „აგრესიის მუქარის წინაშე" იმყოფება და ამ საფუძველზე მოითხოვდა იტალიის სამხედრო პოტენციალის გადიდებას. ყოფილი აგრესორისადმი ამ კეთილგანწყობილ დამოკიდებულებას არ შეეძლებოდა არ გამოეწვია იტალიის რეაქციულ წრეებში ერთგვარი პატიების იმედი.

საზავო კონფერენციის მონაწილეებს ახსოვთ, მაგალითად, იტალიის წარმომადგენლის დე გასპერის გამოსვლა, რომელმაც სრულიად გვერდი აუარა იტალიის მორალური და მატერიალური პასუხისმგებლობის საკითხებს და წამოაყენა დამპყრობლური მოთხოვნები იუგოსლავიის ძველისძველ ტერიტორიაზე. ასევე გამოვიდნენ დღეს იტალიის წარმომადგენლები, რომლებიც მოწვეული იყვნენ სამხედრო კომისიის სხდომაზე.

იტალიის გენერალმა კლადიო ტრეცანიმ განაცხადა, რომ მას „არ შეუძლია გაიგოს მიზეზები", რომელთა გამო იტალიას უზღუდავენ შეიარაღებას. „უმწეო იტალია მუდამ იქნებოდა ხმელთაშუა ზღვის ერებს შორის უწესრიგობის საფრთხე", — განაგრძო ტრეცანიმ.

იტალიის წარმომადგენლებმა კვლავ წამოაყენეს წინადადება იტალიის არმიის რიცხობრივი შემადგენლობის გადიდების შესახებ, საბრძოლო თვითმფრინავების რაოდენობის გადიდების, აგრეთვე სამხედრო ხომალდების ტონაჟისა და რაოდენობის გადიდების შესახებ.

დიდი ბრიტანეთის დელეგატმა მოაგონა იტალიის წარმომადგენლებს, რომ კომისიამ მოიწონა წინადადება იტალიის არმიაში იმ უნტერ-ოფიცრებისა და ოფიცრების მიღების აკრძალვის შესახებ, რომლებიც მსახურობდნენ ფაშისტურ სამხედრო ორგანიზაციებში, და ჰკითხა: რა ზომებს მიიღებს ამ მხრივ იტალია?

— ზოგიერთი რამ უკვე გააკეთა ჯერ კიდევ მარშალმა ბადოლიომ, და ამიტომ ჩვენ მიზანშეუწონლად მიგვაჩნია საზავო ხელშეკრულებაში ასეთი მუხლის შეტანა,—აგდებულად უპასუხა იტალიის წარმომადგენელმა.

ამავე დროს, კონფერენციის კულუარებში ლაპარაკობენ, რომ იტალიის ფლოტში იტალიის საზღვაო შტაბის უფროსის ადმირალ დე კურტენის (რომლის სახელითაც დღეს წარმოდგენილი იყო იტალიის წინადადებანი ფლოტის დარგში) მფარველობით თავშესაფარს პოულობენ ყოფილი ფაშისტი ოფიცრები.

სამხედრო კომისიის სხდომაზე არავინ გამოსულა იტალიის მთავრობის მილიტარისტული მადის უშუალო დაცვით, მთავრობისა, რომელიც ყოველნაირად ცდილობს შეამციროს ის შეზღუდვები, რაც დაწესებულია საზავო ხელშეკრულების პროექტით, რომელიც ყოველნაირად ცდილობს რაც შეიძლება მეტად გააფართოვოს იტალიის შეიარაღება. მაგრამ ერთ-ერთი მთავარი ყოფილი მტრული ქვეყნის წარმომადგენლების თვით საქციელი, მათი მისწრაფება შეიარაღებისადმი მოწმობს, თუ რა შეიძლება გამოიწვიოს ამ ძირითადი ჭეშმარიტების დავიწყებამ ან უგულებელყოფამ, რომელიც საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა ვ. მ. მოლოტოვმა გაიხსენა ერთ-ერთ პირველ პლენარულ სხდომაზე, როცა განაცხადა, რომ აგრესორების დაუსჯელობას საერთო არაფერი აქვს სამართლიანი მშვიდობის ინტერესებთან და შეიძლება ხელსაყრელი იყოს მხოლოდ იმათთვის, ვინც ახალ აგრესიას ამზადებს თავისი მტაცებლური იმპერიალისტური მიზნით.

ფინეთის პოლიტიკურ და ტერიტორიულ საკითხთა კომისიაში

პარიზი, 12 სექტემბერი. (საქდესის სპეც. კორ.). ფინეთის პოლიტიკურ და ტერიტორიულ საკითხთა კომისიამ დღეს განიხილა იურიდიულ და სარედაქციო საკითხთა კომისიის გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ უარყოფილ იქნას ავსტრალიის დელეგაციის წინადადება ფინეთთან საზავო ხელშეკრულების პროექტში იმ მუხლის შეტანის გამო, რომელიც შეეხება ეგრეთწოდებულ ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს. ეს რეკომენდაცია მიღებულ იქნა კომისიის მიერ 9 ხმის უმრავლესობით ორი ხმის წინააღმდეგ (ავსტრალია და ახალი ზელანდია).

კენჭის ყრის წინ ავსტრალიის დელეგატ ჰოდსონს სურდა ეხსნა მდგომარეობა და უსაყვედურა კომისიას, რომ დელეგაციების უმრავლესობა ავსტრალიის წინადადებას ისე არ მოეკიდა, როგორც ეს მას, ჰოდსონს სურდა. იგი არ მოერიდა განეცხადებინა, რომ სარედაქციო და იურიდიულ საკითხთა კომისიის გადაწყვეტილება არასწორად მიაჩნია.

სენატორ პეპერის განცხადება

ნიუ-იორკი, 13 სექტემბერი. (საქდესი). როგორც გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის" კორესპონდენტი მილუოკიდან იუწყება, საწარმოო პროფკავშირთა კონგრესში შემავალი ელექტროკოსთა პროფკავშირის ნაციონალურ ყრილობაზე დემოკრატმა სენატორმა პეპერმა (ფლორიდის შტატიდან) სიტყვა წარმოსთქვა და განაცხადა: „ჩვენ თანდათან მივუახლოვდებით ახალ ომს მანამდე, სანამ რუზველტის პოლიტიკას არ დავუბრუნდებით... რუზველტი რომ ცოცხალი ყოფილიყო, ჩვენ რუსეთთან უკეთესი ურთიერთობა გვექნებოდა. მაგრამ დემოკრატიული პარტიის ლიბერალურ ელემენტებს საგარეო პოლიტიკის საკითხებში ამჟამად არ ეთათბირებიან".

როგორც [illegible] იუწყება, პეპერმა [illegible] წინააღმდეგ, [illegible] დასავლეთ ევროპის იმპერიალიზმის გარანტებად, აგრეთვე დაგმო ინგლისის პოლიტიკა, რომელიც ხელს უშლის საბჭოთა კავშირის შესვლას ხმელთაშუა ზღვაში და მის მონაწილეობას დარდანელის დაცვაში. პეპერმა დაგმო ამერიკის ავიანოსის ამასწინანდელი ჩასვლა საბერძნეთში.

პეპერმა სთქვა: „ჩვენ ვცდილობთ საბერძნეთის ტახტზე აღვადგინოთ ჩამოგდებული მეფე... ჩვენ ჩინეთს მეორე ესპანეთად ვაქცევთ".

ამერიკელმა ჯარისკაცებმა სცემეს დემონსტრანტებს ტრიესტში

ბელგრადი, 13 სექტემბერი. (საქდესი). ბელგრადის რადიო გადმოგვცემს: ტანიუგის კორესპონდენტი იუწყება, რომ იულიის კრაინის „ა" ზონის მოსახლეობამ, საოკუპაციო ხელისუფალთა აკრძალვის მიუხედავად, ზეიმით აღნიშნა 8 სექტემბრის დღე — ფაშისტ ოკუპანტთა წინააღმდეგ აჯანყების წლისთავი. ამ დღეს პოლიციელები ტრიესტში ფხიზლად იყვნენ. შეიარაღებული სამოქალაქო და სამხედრო პოლიციელები სატვირთო ავტომანქანებით მიმოდიოდნენ ქალაქში. მიუხედავად ამისა, ტრიესტის მოსახლეობა შეიკრიბა გარიბალდის მოედანზე. როცა პოლიციამ სცადა ორატორები დაეპატიმრებინა, პოლიციასა და მოსახლეობას შორის ნამდვილი ბრძოლა მოხდა. ასობით პოლიციელი და ამერიკელი ჯარისკაცი კეტებითა და თოფის კონდახებით სცემდა უიარაღო ხალხს.

მიუხედავად მიღებული ზომებისა, პოლიციამ და ჯარებმა ხელი ვერ შეუშალეს ტრიესტის მცხოვრებთ შეკრებილიყვნენ სასაფლაოზე თავისუფლებისათვის დაღუპულ გმირთა საფლავთან. ერთ-ერთმა ორატორმა სთქვა: ჩვენ არ მოველოდით, რომ ფაშიზმზე გამარჯვების შემდეგ ამნაირად მოგვიხდებოდა გაგვეკაფა გზა ფაშიზმთან ბრძოლაში დაღუპულ გმირთა საფლავებისაკენ. ისინი, ვინც ჩვენთან ერთად საპატიო ყარაულში უნდა იდგნენ თქვენს საფლავებთან, ცდილობდნენ გზა გადაეღობათ ჩვენთვის შაშხანებითა და კეტებით.

ტანიუგის კორესპონდენტის ცნობით, გორიცაში სამოქალაქო და სამხედრო პოლიციამ 8 სექტემბერს ქალაქის ყველა შესასვლელი დახურა. ქალაქში სატვირთო ავტომობილებით მიმოდიოდნენ პოლიციელები. ინგლისელ და ამერიკელ სამხედრო ხელისუფალთა ასეთ მოქმედებასთან დაკავშირებით გორიცაში მოსახლეობამ, რომელიც პროტესტს აცხადებდა 8 სექტემბრის დღესასწაულის აკრძალვის წინააღმდეგ, დიდი დემონსტრაციები გამართა.

ბენუა ფრაშონის გამოსვლა პრეს-კონფერენციაზე სოფიაში

სოფია, 13 სექტემბერი, (საქდესი). აქ შემდგარ პრეს-კონფერენციაზე, რაც ინფორმაციის სამინისტროს პრესის დირექციამ მოაწყო, საფრანგეთის, იუგოსლავიის, ჩეხოსლოვაკიის, უნგრეთისა და ალბანეთის პროფკავშირული დელეგაციის წარმომადგენლებმა დამსწრეთ გაუზიარეს თავიანთი შთაბეჭდილებანი ბულგარეთში რეფერენდუმისა და სამამულო ფრონტის ხელისუფლების არსებობის მეორე წლისთავის დღესასწაულის შესახებ. საფრანგეთის შრომის საყოველთაო კონფედერაციის გენერალურმა მდივანმა ბენუა ფრაშონმა თავის გამოსვლაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ ბულგარულმა ხალხმა ნებაყოფლობით აირჩია ის რეჟიმი, რომლისთვისაც ათეული წლობით იბრძოდა.

ჩვენ, — განაცხადა ფრაშონმა, — დავესწარით 9 სექტემბრის დღესასწაულს. ჩვენ ვნახეთ, თუ რა აღტაცებით იყო გამსჭვალული მთელი ბულგარელი ხალხი. ჩვენ ვნახეთ დიდებული დემონსტრაცია, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ბულგარელი ხალხის ყველა ფენის წარმომადგენლებმა. ჩვენ დავრწმუნდით, რომ თქვენს ქვეყანაში იქმნება რაღაც ახალი და დიდი.

— თქვენი ერთიანობა, — სთქვა დასასრულ ფრაშონმა, — ნებას გვაძლევს დარწმუნებული ვიყოთ, რომ ბულგარელი ხალხი ააგებს ბედნიერი მომავლის დიდებულ შენობას.

სხვა ქვეყნების დელეგატებმაც განაცხადეს, რომ რეფერენდუმი აბსოლუტურად თავისუფალი ხმის მიცემა იყო.

საბჭოთა კავშირის ელჩმა არგენტინაში რწმუნების სიგელები გადასცა

ბუენოს-აირესი, 13 სექტემბერი. (საქდესი). საბჭოთა კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა მ. გ. სერგეევმა გუშინ რწმუნების სიგელები გადასცა არგენტინის რესპუბლიკის პრეზიდენტს, გენერალ ხუან დომინგო პერონს.

ბუენოს-აირესი, 13 სექტემბერი. (საქდესი). საღამოს გაზეთები მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობენ ცნობას იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირის ელჩმა არგენტინაში რწმუნების სიგელები გადასცა. გაზეთები აღნიშნავენ, რომ, მიუხედავად კოკისპირული წვიმისა, ბევრი ხალხი შეიკრიბა იმ გზაზე, სადაც საბჭოთა კავშირის წარმომადგენლებს უნდა გაევლოთ, და მხურვალედ მიესალმებოდა საბჭოთა კავშირის და სსრ კავშირისა და არგენტინას შორის ურთიერთობის დამყარებას. გაზეთი „ლა კრიტიკა" სწერს, რომ ორი ათასი კაცი შეიკრიბა პრეზიდენტის სასახლესთან. მათი რიგებიდან განუწყვეტლივ გაისმოდა მისალმებანი საბჭოთა კავშირისადმი.

გაერთიანებული ერების გენერალური ასამბლეა გადაიდება

პარიზი, 14 სექტემბერი. (საქდესი). ნიუ-იორკიდან მიღებული ცნობების თანახმად, გაერთიანებული ერების შემადგენლობაში შემავალმა 37 ქვეყანამ აზრი გამოსთქვა იმის სასარგებლოდ, რომ გენერალური ასამბლეის მორიგი სესია 23 ოქტომბრამდე გადაიდოს. ამრიგად, ასამბლეის მოწვევის ვადის გადადებას მხარი დაუჭირა გაერთიანებული ერების რიცხვში შემავალი ქვეყნების დიდმა უმრავლესობამ.

საგაფიცვო მოძრაობა მექსიკაში

ნიუ-იორკი, 13 სექტემბერი. (საქდესი). როგორც გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის" კორესპონდენტი მექსიკოდან გადმოგვცემს, უკანასკნელ დღეებში მექსიკის საბაჟოების მოსამსახურეთა გაფიცვამ სრულიად მოშალა ტვირთზიდვა მექსიკასა და შეერთებულ შტატებს შორის და შეაჩერა შეერთებულ შტატებში მექსიკის ხე-ტყის, სპილენძის, ტყვიის და სურსათის გაგზავნა. ამჟამად ვერა-კრუცის ნავსადგურში უმოძრაოდ აწყვია 6 ათასი ტონა ტვირთი.

მდგომარეობა ჩინეთში

შანხაი, 12 სექტემბერი. (საქდესი). როგორც გაზეთი „ვენგუებაო" იუწყება, ნანკინში ძლიერდება მზადება მოსახლეობის მობილიზაციისათვის სამოქალაქო ომში მონაწილეობის მისაღებად. 9 სექტემბერს შეიქმნა პოლიციისა და ახალგაზრდობის კორპუსის შტაბის წარმომადგენელთა გაერთიანებული თათბირი, რომელზეც მიღებულ იქნა გადაწყვეტილება შექმნან სპეციალური ორგანო მოსახლეობის სამხედრო სწავლების დაჩქარების მიზნით.

მზადება დიდი სახალხო კრების არჩევნებისათვის ბულგარეთში

სოფია, 12 სექტემბერი. (საქდესი). ბულგარეთში დაიწყო მზადება დიდი სახალხო კრების არჩევნებისათვის. სამამულო ფრონტის პარტიები შეუდგნენ დეპუტატობის კანდიდატთა წამოყენებას. უახლოეს დღეებში გამოცხადდება კანდიდატთა სიები.

პასუხისმგებელი რედაქტორი ბ. ნანიტაშვილი

კეცხოველის სახელობის საქალაქო პარკკაბინეტში

16 სექტემბერს, საღამოს 8 საათზე, შესდგება საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის მინისტრის ამხ. **გორდეზიანის** ლექცია თემაზე: **„საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობა მეოთხე ხუთწლედში".**

ლექციები

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა კომიტეტის ცენტრალური საქალაქო ბიურო აწყობს საკავშირო საქალაქო ბიუროს ლექტორის ბ. ა. რაბინოვიჩის ლექციებს თემაზე „თანამედროვე ინგლისი" (რუსულ ენაზე).

ლექციები შესდგება 16 სექტემბერს [illegible] შრომის კავშირის ვოროშილოვის სახელობის კლუბის საზაფხულო თეატრში (კომინტერნის ქუჩა, 5) და 17 სექტემბერს — გორკის სახელობის კულტურის პარკის საზაფხულო თეატრში (პლეხანოვის, 65). ლექციების შემდეგ ნაჩვენები იქნება კინოქრონიკა.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

მოქალაქე **ვალერიან მიხეილის-ძე თალაკვაძემ,** მცხოვრებმა საპროექტო ქ. № 30, აღძრა საქმე ფიროსმანის ქ. № 25 მცხოვრებ მოქალაქე **მარიამ ლუკას-ასულ მაჩიტაძესთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის სტალინის რაიონის მე-2 უბნის სახალხო სასამართლო.

მოქალაქე **ირაკლი გიორგის-ძე ასანიძემ,** მცხოვრებმა ართვინის ქ. № 18, აღძრა საქმე დოლიძის ქ. № 10 მცხოვრებ მოქალაქე **ბარბარე პავლეს-ასულ კეტრიაშვილთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის მოლოტოვის რაიონის მესამე უბნის სახალხო სასამართლო.

თეატრებში

15 სექტემბერს: სახელმწიფო ოპერა — „აბესალომ და ეთერი". რუსთაველის სახელობის — „არსენა". მარჯანიშვილის სახელობის — „კოლმეურნის ქორწინება". სომხური — „[illegible] და ვარდიტერი". მოზარდ მაყურებელთა ქართული — „სიღარიბე ბოროტება არ არის".

კინოებში

15 სექტემბერს: რუსთაველის სახელობის — „დავით გურამიშვილი". დამკვრელი (საზაფხულო) — „ჭაბუკი ჩვენი ქალაქიდან", (ზამთრის) —„რაიკომის მდივანი". კომკავშირელი (საზაფხულო) — „ჯორჯი დინკი ჯაზიდან", (ზამთრის) — „დავით გურამიშვილი". ხარტაკი — „უჩინარი იანი". ლუქსემბურგის სახელობის — „დუბროვსკი".

მთავარ სააფთიაქო სამმართველოს ესაჭიროება თბილისში: უფროსი ბუღალტერი, ბუღალტრები, მოანგარიშეები, ქართული და რუსული ენის მცოდნე მემანქანეები, საქონლის ჩამფუთავები, მტვირთავი მუშები, ორთქლის ქვაბის მეცეცხლურები, ჭურჭლის მრეცხავები, დამლაგებლები, ღამის დარაჯები.

პირობებისათვის მიმართეთ: კამოს ქ. № 76, ტელეფონი 3-17-70.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს გასამხედროებული სახანძრო დაცვის სკოლა და პარტორგანიზაცია იუწყებიან ღვით იასონის-ძე კუხიანიძის გარდაცვალებას.

უახლოესი მეგობრები იუწყებიან ექიმ ნინო (გოგუნა) ალექსანდრეს-ასულ ჯაფარიძის გარდაცვალებას. გამოსვენება 15/IX, 5 ს. ბათუმის, 16.

ეთერი, გურამი [illegible] იუწყებიან ქრისტინე ალოჯაჯევის გარდაცვალებას. დაკრძალვა 15/IX ქ. ბორჯომში.

შვილები ალიკო, მარუსია, მარიამი, ბარბარე ჩხიკვიშვილები ოჯახით იუწყებიან [illegible] გარდაცვალებას. დაკრძალვა 17/IX სოფელ [illegible].

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი «კომუნისტი», თბილისი, ლენინის ქ. № 28.
ტირაჟი 110,000
უე 09635